


საქართველოს



დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 8 ივლისი, 2015 წელი.

№125 (7770)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge **ვებ გვერდი: www.sakresp.ge** **ფასი 50 თეთრი.**

ირაკლი ღარიბაშვილი:

სახელმწიფო რესურსების გამოუყენებლობა დანაშაულია!



2 **ანარმთი საქართველოში!**

დამოკლეს მახვილი ქალაქის თავზე

1. როგორ ვებრძვით ღვარსოვებსა და წყალმოვარდნებს?



7

2. როგორ გავნაღვით ეკოდივერსინა და გადავარჩინოთ თბილისი ეკოპატასტროფას?!

თინათინ ხიფაშვილი:

3 კუბინი უკრაინით არ დაკმაყოფილდება



რასაც პუტინი ღღეს აკეთებს, მოკლედ ასე შეიძლება ჩამოვყალიბოთ – ის ცდილობს, გეწოლითა და რეპრესიებით ჩაახშოს დამოუკიდებელი ქვეყნების მისწრაფებები. პუტინს კონკრეტული ღღის წესრიგი აქვს. მან იცის, რას აკეთებს. რაგომ დაიწყო პირდაპირ თმი? იმიგომ, რომ დარწმუნებული იყო, ხალხი ამის საშუალებას მისცემდა.

კაპლავ ჭიკაშვილი:

4 საყოველთაო ინდიფერენტულობის ქვეყანა


როინ მეტრეველი:

5 ჯალალ ედ-დინის სისხლიანი მისია საქართველოში

ქართული პროდუქსია ნიუ-იორკის შოუზე

მწარმოების განვითარების სააგენტოს კოორდინირებით ქართულმა კომპანიებმა ნიუ-იორკში, ამერიკის უმსხვილეს და წამყვან საკვები პროდუქციის საგამოფენო შოუზე The Summer Fancy Food Show 2015 ეროვნული ნაწარმი წარადგინეს.

უწყების ინფორმაციით, 2015 წლის საგამოფენო შოუს ფარგლებში საქართველომ ტრადიციული პროდუქცია ახლებური, ინოვაციური სახით წარადგინა და მწარმოების განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული სტენდის ქვეშ წვევების, ჩაის, თხილის და ასევე კვების მრეწველობაში არსებული ქართული კომპანიების პროდუქცია განათავსა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ „არომა პროდუქტი“ (ხილის წვევები, ჯემები, სოუსები, ხილი სიროფში); „კულა“ (საკონსერვო პროდუქცია, ხილის წვევები, ჯემები, მურაბები, კომპოტები); „გეოპლანტი“ (სხვადასხვა სახეობის ქართული ჩაი); „ჯორჯიან პროდაქტს რენესანსი“ (მოხალული დამარილებული თხილი ნაჭუჭით, თხილის გული) და „კამპა“ (წვევები).



12

როგორი ხელწერა და ხასიათი გაქვთ?

ლი თხილი ნაჭუჭით, თხილის გული) და „კამპა“ (წვევები).

ღონისძიებამ ქართული მხარისათვის საკმაოდ პროდუქტიულად ჩაიარა. მნიშვნელოვანი კონტაქტები დამყარდა კომპანიებსა და იმპორტიორებს შორის, გამოფენას დადებითი გამოხმაურება მოყვა მედიის მხრიდანაც. საკვები პროდუქციის საგამოფენო შოუს „The Summer Fancy Food Show 2015“ მნიშვნელობა საკმაოდ დიდია, რომელიც საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდის კუთხით ახალ შესაძლებლობებს უხსნის, ამავე დროულად, ქართული პროდუქციის პოპულარიზაციისათვის საჭირო პლატფორმას ქმნის და საერთაშორისო კონტაქტების დამყარების თვალსაზრისით ადგილობრივი კომპანიების წარმომადგენლებს მნიშვნელოვნად უმარტავს ხელს.

რას შეიძლება ვეხად გამოვიყენოთ აღბილობრივი რესურსი, რათა დაგვირგობინოთ არ ვიყოთ იმპორტზე

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა საგამოყენო ცენტრ „ექსპო-ჯორჯიაში“, „ანარმოე საქართველოში“ ერთი წლის შემდეგ აღმოსავლეთ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

„ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება და იმის საშუალება, რომ არ გამოვიყენოთ თითოეული რესურსი. მაშინ როდესაც ჩვენ შევისწავლეთ მთელი საქართველოს მასშტაბით რეგიონებში არსებული რესურსები, ჩვენ ეს სურათი გვაქვს და ეს არის ხელმისაწვდომი და ჩვენ ამის პრეზენტაცია პირადად ჩავატარეთ. შეგვიძლია მენარჩევებთან ერთად აქტიურად დავიწყოთ ამ პროექტების განხორციელება. სახელმწიფოს არ შეუძლია იმაზე უკეთესი შესთავაზოს, რაც არის „ანარმოე საქართველოში“, ან იაფი აგროკრედიტი, რომლის ფარგლებშიც ჩვენ 10%-იან სესხის სუბსიდირებას ვახერხებთ და მენარჩევს, 1 ან 2 პროცენტის გადახდა უწევს მხოლოდ. ჩვენ ვაძლევთ ქარხანას მიწას სიმბოლურ ფასად – ერთ ლარად. ამას გარდა სახელმწიფო გაცემს გარანტიას ბანკებისთვის 50%-ის ოდენობით, ეს არის უდიდესი ხელშეწყობა. ასეთი პირობები თამამად შეიძლება გითხრა, რომ არ არის ევროპაში. ჩვენს პირობებში ეს არის უნიკალური, ახლა საჭიროა გააქტიურება მენარჩევების მხრიდან, მაშინ როდესაც არის სტაბილური გარემო და მაშინ როდესაც ბიზნესი არის ხელშეწყობილი, ჩვენ ვართ მონადირეები, რომ რაც შეიძლება მეტად დავეხმაროთ ბიზნესს. მაშინ როდესაც სახელმწიფოს ნება არის არსებობს, რომ ეკონომიკა გაძლიერდეს წინ აღარაფერი არ უნდა დაგვიდგეს“, – განაცხადა პრემიერმა.

„მოკლედ გეტყვით, რომ 90 სამრეწველო პროექტი უკვე დაფინანსდა ამ პროგრამით, ანუ იაფი აგროკრედიტის ფარგლებში 132 სანარმო დავაფინანსეთ. რაც შეეხება



„ანარმოე საქართველო“, 90 სამრეწველო პროექტი, რომელთა ჯამური საინვესტიციო მოცულობა შეადგენს 250 მილიონ ლარს. მინდა კომერციულ ბანკებს გადავუხადო მაგალიტი, რომ არა მათი ჩართულობა, ეს პროგრამები რა თქმა უნდა, ვერ დაფინანსდებოდა, მათი მეშვეობით 122 მილიონი ლარი გაცემული და ყველაწარმოების ფარგლებში შეიქმნება 5 ათასი სამუშაო ადგილი, მე ვსაუბრობ უახლოეს 2-3 წელიწადზე. ეს არის რეალური წინსვლის დასტურები, ეს არის ნათელი შედეგი, თუ როგორ შეიძლება სახელმწიფო, ბანკებმა, კერძო სექტორმა ერთად გააკეთოთ კარგი საქმე, რაც ჩვენ ქვეყანას წაადგება“, – განაცხადა მთავრობის მეთაურმა.

* * *

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ლარიბაშვილის განცხადებით, სოფლის

მეურნეობაში ძალიან სერიოზული წინსვლაა. წლის ბოლოს იქნება საბოლოო შედეგები, „მაგრამ მე მინდა, გითხრა, რომ ძალიან ოპტიმისტური სურათი გამოიკვეთა“.

პრემიერის განცხადებით, ერთ-ერთ წელიწადში შეძლებენ, მთლიანად ჩაანაცვლონ იმპორტირებული სოფლის მეურნეობის პროდუქტები, ძირითადი, რაც ჩვენთან მოდის.

„მე არ ვსაუბრობ ტროპიკულ ხილზე და ა. შ. ის, რაც ჩვენთან ვერ მოდის, მაგრამ ის, რისი მოყვანაც ჩვენ შეგვიძლება საქართველოში, აუცილებლად უნდა მოხდეს მათი წარმოება და უნდა ჩაანაცვლონ იმპორტირებული, დაბალხარისხიანი პროდუქტები. სახელმწიფო მინდა, აღვნიშნო, ჩვენ არ ვართ იმპორტის წინააღმდეგი, პირაქით, მაგრამ ჩვენთვის მთავარი საზრუნავი არის ადგილობრივი წარმოების განვითარება, ჩვენი მოქალაქეების დასაქმება“, – განაცხადა ლარიბაშვილმა.

„ვიდეო ერთი მაგალითი რაც შემიძლია გითხრა, ეს არის თუნდაც ქვის ინდუსტრიის განვითარება. ჩვენ გვაქვს ათეულობით უმაღლესი ხარისხის მარმარილო, გრანიტი და სხვა სახის ქვის საბადოები, რომელიც ასევე იყო დაკონსერვებული და არავინ არ იყენებდა. მე მისარია, რომ რამდენიმე ბიზნესმენმა, მენარჩევ უკვე გამოთქვა სურვილი ქვის ინდუსტრიის განვითარებაზე საქართველოში.“

რეალობა არის ის, რომ ჩვენ შემოგვაქვს მეზობელი სახელმწიფოებიდან უხარისხო, სხვადასხვა სახის კერამიკული პროდუქტები, ხარისხიანი შემოდის, რა თქმა უნდა, მაგრამ მე ვსაუბრობ ამ შემთხვევაში უხარისხო და ძვირად ღირებულზე ჩვენ შეგვიძლია, გაცილებით დაბალ ფასად ვანარმოოთ ადგილობრივი კერამიკული ფილაები, მეტლახი და სხვადასხვა სახის ქვის პროდუქტები.

კიდევ ერთ მაგალითს გეტყვით, წლების

განმავლობაში, მეზობელი სახელმწიფო, რომელსაც არ დავასახელებ, იქაური ბიზნესმენები ყიდულობდნენ და ყიდულობენ ადგილზე ზაფხულის ხილს, შემდეგ გააქვთ საკუთარ ქვეყანაში, ხდება ამ ხილის შენახვა სპეციალურ მაცივრებში და შემოდის უკან საქართველოში და ჩვენთან მოყვანილ ხილს სამჯერ ძვირად ყიდვან. მაშინ როდესაც ძალიან მარტივი არის, რომ ჩვენ აქ ადგილზე განვავითაროთ სამაცივრე მეურნეობა, სასაწყობე მეურნეობა.

რა გვიდგას წინ თუნდაც იმისთვის, რომ ქვეყანაში არ არის ასანთის წარმოება. რაც არის ელემენტარული, ამას სჭირდება 20 კვადრატული მეტრის საწარმოს დადგმა. რა გვიდგას წინ, რომ ქვეყანა, რომელიც მილიონობით ბოთლ წყალს აწარმოებს, ბოთლი შემოგვაქვს სხვა სახელმწიფოებიდან. რატომ არ შეგვიძლია, რომ თუნდაც ბოთლების წარმოება დავიწყოთ აქ. ამ მაგალითების მოყვანით მე მინდა, საზოგადოება შემიდგეს, რომ ახლო წარსულში არ იყო სახელმწიფოს მხრიდან ნება, განვითარებულიყო ადგილობრივი წარმოება. მაგრამ ჩვენ პირობებში ეს ნება არის გამოხატული სახელმწიფო პროგრამით „ანარმოე საქართველოში“.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, სახელმწიფო რესურსების გამოყენებლობა არის დანაშაული.

„წინა მთავრობაზე მე ნაკლებად მინდა ვისაუბრო დღეს, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ წლების განმავლობაში და ეს გრძელდებოდა 20 წელზე მეტი, ხდებოდა ჩვენი რესურსების დაკონსერვება, მათი მიწინააღმდეგობა და არგამოყენება. შედეგად, ჩვენ გვაქვს ასეულობით ლიცენზიები გაცემული მთელს რეგიონებში უნიკალურ რესურსებზე, რომელსაც სამწუხაროდ, ჩვენ ვიყენებთ, იმიტომ, რომ თავის დროზე სხვადასხვა ადამიანის ლობიონებით ჩაიგდეს ხელში სახელმწიფოს რესურსები და ეს რესურსები დღეს არის გამოყენებული. ეს არის დანაშაული მეგობრებო, მე ასე ვუყურებ ამას, იმიტომ, რომ არავინ აქვს უფლება, სახელმწიფოს რესურსები არ გამოიყენოს და შემოინახოს რაღაც პირადი ინტერესებისთვის“, – განაცხადა ლარიბაშვილმა.

მისივე თქმით, რამდენიმე თვის წინათ, პრაქტიკულად, დაასრულეს ამ ლიცენზიების სისტემატიზაცია, აღწერა გააკეთა გარემოს დაცვის სამინისტრომ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა სახელმწიფო პროგრამის – „ანარმოე საქართველოში“ წარმატებით განხორციელებისთვის ვიცე-პრემიერს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს გიორგი კვიციანიას და მის გუნდს ასევე სოფლის მეურნეობის სამინისტროს მადლობა გადაუხადა.

© იქნებ ჩვენც გვეხველოს!

სურსათზე გლობალური ფასები უმცირდა!

მსოფლიო ბანკის ანგარიშის მიხედვით, 2014 წლის სექტემბრის შემდეგ ფასებმა სურსათზე 14 პროცენტით იკლო. მათის ფაქტორებია, საერთაშორისო ფასები სურსათზე იყო 5 წლის მინიმუმზე. ფასები დაკლებულია სურსათის ყველა სახეობაზე: ზეთსა და ცხიმზე – 16 პროცენტით, მარცვლეულზე – 10 პროცენტით. გასულ წელთან შედარებით, 18 პროცენტით იკლო ხორბლის ფასმა, 14 პროცენტით – ბრინჯის, ხოლო 23 პროცენტით იკლო ფასებმა შაქარზე.

ანგარიშის მიხედვით, ფასების კლება რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა – პირველ ყოვლისა, იმის გათვალისწინებით, რომ სოფლის მეურნეობის დარგი დიდწილად ენერგომატარებლების ფასებზეა დამოკიდებული, ფასების კლება ნავთობპროდუქტებზე ამცირებს სანავთობ და სასუქებზე გაწეულ დანახარჯებს. შესაბამისად, ფასების კლება განაპირობა მსოფლიოში ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე შემცირებულმა ფასმა (აღნიშნულ პროდუქტებზე ფასები 41 პროცენტით დაბალია, ვიდრე გასულ წელს ანალოგიურ პერიოდში). აღნიშნული ტენდენცია დამატებით განაპირობა აშშ დოლარის გამყარებამ, ასევე რუსეთის ფინანსურმა კრიზისმა და ექსპორტის შეზღუდვამ რუსული ბაზრის მიმართულებით. ამასთან, გლობალური მარაგები და 2015 წლისთვის წარმოების მაღალი პროგნოზი ფასების კლებას დამატებით უწყობს ხელს.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ორგანიზაციის (FAO) პროგნოზით, მომდევნო ათი წლის განმავლობაში პროგნოზირებულია სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ფასების დაღმავალი ტენდენციის შენარჩუნება. ეს განპირობებულია მაღალი მოსავლი-

ანობით, მეტი პროდუქტიულობით და მოთხოვნის ზრდის ტემპის შენელებით. შედარებით მაღალი იქნება ფასები რძის პროდუქტებსა და შაქარზე.

საქართველოში, ივნისის მონაცემებით, წინა წლის გასულ პერიოდთან შედარებით, ინფლაციის დონემ 4,5 პროცენტი შეადგინა. ფასები სურსათისა და სასმელებზე გაიზარდა 5,7 პროცენტით. აღსანიშნავია ფასების მატება ქვეჯგუფებზე: ხილი და ყურძენი (35,0 პროცენტი), ზეთი და ცხიმი (9,8 პროცენტი), ყავა, ჩაი და კაკაო (7,9 პროცენტი), ბოსტნეული და ბალჭეული (5,4 პროცენტი).

ინფლაციის მაჩვენებელი ნაკლებია პროგნოზირებულზე. ამის განმარტებელია სუსტი იმპორტული ინფლაცია, კერძოდ, სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ვალუტების გაუფასურების ფონზე, ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი გამყარდა, შედეგად, იმპორტირებული საქონლის ფასების ზრდის ტემპი მცირე იყო.

მიმდინარე პერიოდამდე ინფლაციის მიზნობრივი დონიდან გადახრას ძირითადად განაპირობებდა სუსტი იმპორტული ინფლაცია ენერგომატარებლებზე და სურსათზე გლობალური ფასების შემცირება და სუსტი ერთობლივი მოთხოვნა.

პროგნოზის მიხედვით, 2015 წლის განმავლობაში ინფლაციის ზრდის ფაქტორია მიწოდების მხარე, კერძოდ, შუალედური ხარჯების ზრდა, რასაც კომპანიების სესხების დოლარიზაციის გამო ლარი-დოლარის გაცვლითი კურსის გაუფასურება განაპირობებს. ინფლაციაზე შემცირებით მიმართულებით იმოქმედებს სუსტი ერთობლივი მოთხოვნა და საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობისა და სურსათის შემცირებული ფასები. კერძოდ, ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირებასთან დაკავშირებით მოსლოდნელია, რომ 2015 წელს მოთხოვნა პოტენციურ დონეზე დაბალი იქნება და, შესაბამისად, ფასებზე შემცირების მიმართულებით იმოქმედებს. პროგნოზის თანახმად, რომელიც მიმდინარე ინფორმაციაზე დაყრდნობით ყველა ამ ფაქტორს ითვალისწინებს, ინფლაცია 2016 წლის პირველ კვარტალში სამიზნე მაჩვენებელს მცირედით გადააჭარბებს, ხოლო შემდგომ შემცირდება სამიზნე მაჩვენებელამდე.

ინოვაციები
რადიო „თავისუფლება“

© კვლევა

ერთსქესიანთა ქორწინება – დასაულებლად მომდინარე საზოგადოება?

ამერიკის პრეზიდენტმა ერთსქესიანთა ქორწინება სამართლებრივად დააკანონა, თუმცა, პატარა საქართველოში ეს აღიქმება, როგორც დასავლეთიდან მომდინარე საფრთხე. კავკასიურ სახლში, სადაც პუბლიკაციის „ევროატლანტიკური სკეპტიციზმი ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სივრცეში“ პრეზენტაცია გაიმართა, ეს საკითხი კიდევ ერთხელ გახდა პოპულარული საგანი. ჩვენს ქვეყანაში ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას საკმაოდ მტივირებულად აღიქვამენ.

პუბლიკაციაში სხვა დასავლურ ღირებულებებზეც არის საუბარი. ეს კვლევა მიზნად ისახავს, გააანალიზოს და გამოავლინოს საქართველოს საგარეო კურსისადმი სკეპტიკურად თუ კრიტიკულად განწყობილი ჯგუფების ხედვები. აღმოჩნდა, რომ ჩვენი მოქალაქეები საკმაოდ ნიშანდობლივ ზღვარს ავლენენ, ერთი მხრივ, ევროკავშირში, ხოლო მეორე მხრივ, ნატოში გაწევრებას შორის. თუკი გამოკითხულთა უმეტესობას ევროკავშირი მოსწონს, ამავე დროს ნატო – აფრთხობს. ისინი ამბობენ, რომ, საქართველოს მომავალი ნატოში არაპერსპექტიული და ბუნდოვანია.

რაც შეეხება ეკონომიკურ მომგებიანობას, მოქალაქეების აზრით, ჩვენთვის რუსული ბაზარი უფრო

ეფექტიანი იქნება, ვიდრე ევროპული. მაგრამ იქვე მკაცრად მიჯნავენ სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობას.

მოკლედ, კვლევამ ნათელყო, რომ ევროპის მიმართ კრიტიკულად განწყობილი ადამიანების დაჯგუფება შემდეგნაირად შეიძლება: პროდასავლური ორიენტაციის მომხრეები, გარკვეული დათქმებით; რესპონდენტები, რომლებიც ვერ ხედავენ პროდასავლური ორიენტაციის სარგებლობას; ადამიანები, რომლებიც მხოლოდ საფრთხეს ხედავენ დასავლეთში და ისინი, ვინც ანტიდასავლურად არიან განწყობილი. რა თქმა უნდა, მართლმადიდებელ ქვეყანაში ტრადიციული ღირებულებების მომხრენი გაცილებით მეტნი იქნებიან, ვიდრე მისი მონიშნავს. ამიტომაც, სავარაუდოდ, საზოგადოებას ძალიან გაუჭირდება იმის გაცნობიერება, თუ როგორ შეიძლება მოექცეს იურიდიულ ჩარჩოში ერთსქესიანთა ქორწინება. ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო კი დასავლეთი სწორედ დასავლური უმცირესობის მხარდაჭერასთან ასოცირდება, რაც დღითი დღე კრიტიკულად განწყობს ადამიანებს ძველი ევროპის მიმართ...

ლანა ბიბილურიძე

შვიცარიულ გერმანულენოვან გამოცემა „ციურიხის ახალ გაზეთში“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის თინათინ ხიდაშელის ინტერვიუ გამოქვეყნდა. ინტერვიუს ქართულ თარგმანს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს. დღეს ამ ინტერვიუს უცვლელად გთავაზობთ:

თინათინ ხიდაშელი პირველი ქალი თავდაცვის მინისტრია საქართველოდან, რომელიც გვაფრთხილებს, რომ მეზობელი ქვეყნების წინააღმდეგ რუსული აგრესია კვლავ გაგრძელდება, თუ ამას დასავლეთი წინ არ აღუდგება. 42 წლის იურისტი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმდინარე წლის მაისიდან ხელმძღვანელობს. წარსულში ის ადამიანის უფლებების აქტიური დამცველი და „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა იყო. თინათინ ხიდაშელი ლიბერალური „რესპუბლიკური პარტიის“ წევრია. მან ლიბერალთა საერთაშორისო ფორუმში მიიღო მონაწილეობა.

— ქალბატონო მინისტრო, თქვენ მაისიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობთ. ეს ხომ უჩვეულოა ადამიანის უფლებების დამცველისთვის...

— მე და ჩემი მეგობრები, როგორც ადამიანის უფლებათა დამცველები და კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლები, აქტიურად ვიყავით ჩართულები 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ მოვლენებში. თუმცა, გვსურდა დამოუკიდებელი დავრჩენილიყავით. 2004 წელს „რესპუბლიკური პარტიის“ წევრი გავხდით. იმავე დღეს, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კონსტიტუციაში ცვლილებები შეიტანა, რომლითაც მისი ძალაუფლება მნიშვნელოვნად გაიზარდა და პრაქტიკულად მეფედ მოგვექვედინა. ლიბერალური პრინციპებიდან გამომდინარე, ჩვენი პარტია ამ ცვლილებებს დაუპირისპირდა და სამთავრობო კოალიცია დატოვა. ყველაფერი ასე დაიწყო. 2006 წლიდან არჩევნებში ვმონაწილეობდი. ახლა კი აქ ვარ.

— როგორც თავდაცვის მინისტრს, ალბათ, განუხებთ, რომ რუსეთი აღმოსავლეთ უკრაინაში ომს აწარმოებს. შვიდი წლის წინათ რუსეთის სამიზნე საქართველო იყო...

— ეს საკითხი არა მხოლოდ მე, არამედ, ყველა ქართველს აწუხებს. სამწუხაროდ, დღესაც საომარ მდგომარეობაში ვიმყოფებით. მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლები არ მიმდინარეობს, ყოველდღიურად იტაცებენ საქართველოს ოკუპირებული რეგიონების მოსახლეობას სოფლებიდან მოსახლეობას. ოკუპირებული რეგიონების მიმდებარე ტერიტორიებზე მავთულხლართებს ავლებენ.

— უფრო კონკრეტულად როგორ ახორციელებენ მსგავს ქმედებებს?

— ძირითადად ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან. ამ რეგიონში რუსული სამხედრო ბაზაა განთავსებული. სამხრეთ ოსეთი საქართველოს შუაგულში მდებარეობს. აღნიშნულ ტერიტორიას ქვეყნის ცენტრალურ გზატკეცილამდე სულ რაღაც 10-20 წუთი, დედაქალაქ თბილისამდე კი ერთი საათი აშორებს.

— რას აკეთებთ ამ ყველაფრის წინააღმდეგ?

— კონფლიქტურ ტერიტორიაზე მხოლოდ უსაფრთხოების ძალები მუშაობენ. თავდაცვის სამინისტრო ამაში ჩართული არ არის. 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების თანახმად, კონფლიქტურ ზონებში ჩვენი სამხედრო მოსამსახურეები არ იმყოფებიან. რუსეთი კი შეთანხმებას მუდმივად არღვევს.

— საქართველოსა და უკრაინაში არსებულ მდგომარეობას შორის გარკვეული მსგავსებაა. ორივე ქვეყანაში რევოლუციის შემდეგ დემოკრატიული პროცესები დაიწყო, რის შემდეგაც საქართველო და უკრაინა რუსეთის თავდასხმის ობიექტი დაიქცნენ. ასე ხდება თუ მოვლენებს?

— დიახ, ჩვენსა და უკრაინის „ნარინჯისფერ რევოლუციას“ შორის ერთი წელია განსხვავება. ჩვენ ბევრი რამ გვახსლოვს. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში საქართველოსა და უკრაინას განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა. ჩვენ, ორი ქვეყანა ვგრძნობდით, რომ იმპერიისგან ერთსა და იმავე ზენოლას განვიცდიდით.

— თანამშრომლობთ უკრაინასთან?

— სამხედრო მიმართულებით არა, მაგრამ საქართველო უკრაინის მხარდამჭერია და ჰუმანიტარული და სამედიცინო კუთხით მნიშვნელოვან დახმარებას უწევს. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები ომში დაშავებულების მკურნალობის თაობაზე. ავღანეთის საერთაშორისო მისიაში სამხედრო მოსამსახურეების ჩართულობიდან გამომდინარე, ამ კუთხით გარკვეული გამოცდილება გვაქვს.

— რით განსხვავდება ორი ქვეყნის მდგომარეობა ერთმანეთისგან?

— ვფიქრობ, 2008 წელს ჩვენ მსოფლიო ვერ გამოვაფხიზლეთ. დარწმუნებული ვარ, მაშინ საქართველოს ხელისუფლებას დახმარება რომ ეთხოვა და მსოფლიოს საზოგადოებას ეს გაეთვალისწინებინა, დღეს უკრაინა ომს თავიდან აიცილებდა. ჩვენ ნორმალურ მდგომარეობას თითქოს ძალიან სწრაფად დავეუბრუნდით. უკრაინის შემთხვევაში განსხვავებული სიტუაციაა. იქნებ ამჯერად მეზობლებთან მიმართებაში რუსეთის განზრახვებთან დაკავშირებით ეჭვები აღარ გაჩნდეს.

— რა სურს რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს?

— აქ გამოსაცნობი და მისახვედრი არაფერია. ბატონი პუტინი ყველაფერზე ნათლად მიანიშნებს. სიტყვით გამოსვლისას პუტინს ისიც აქვს ნათქვამი, რომ მეოცე საუკუნის ყველაზე დიდ კატასტროფად საბჭოთა კავშირის დაშლა მიაჩნია. მას უსაუბრია უარყოფით მხარეებზე, რაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქვეყნების დამოუკიდებლობამ მოიტანა. ეს კაცი ყოველთვის ამბობს, რასაც ფიქრობს. პრობლემა ის არის, რომ ჩვენ მას სათანადოდ, სწორად არ ვუსმენთ ან ბოლომდე არ გვევება, რასაც ამბობს. რასაც პუტინი დღეს აკეთებს, მოკლედ ასე შეიძლება ჩამოვყავალიბოთ — ის ცდილობს ზენოლითა და რეპრესიებით ჩაახშოს დამოუკიდებელი ქვეყნების მისწრაფებები. პუტინს კონკრეტული დღის წესრიგი აქვს. მან იცის, რას აკეთებს. რატომ დაიწყო პირდაპირ ომი? იმიტომ, რომ დარწმუნებული იყო, ხალხი ამის საშუალებას მისცემდა.

— თქვენი პასუხი რუსეთის მუქარაზე დასავლეთთან ინტეგრაცია და ურთიერთობის გაღრმავებაა, ნატოში ინტეგრაცია კვლავ რჩება საქართველოს ამოცანად?

— რა თქმა უნდა, საქართველოსთვის დღეს ეს ყველაზე აქტიური საკითხია. ნატო მშვიდობისმყოფელი ორგანიზაცია უფროა, ვიდრე სამხედრო. ბალტიისპირეთის ქვეყნები ნატოს წევრები რომ არ გამხდარიყვნენ, პუტინი მათზე მიიქცნდა იერიშს და არა უკრაინაზე. რუსეთი მსგავს მოქმედებებს მხოლოდ მაშინ შეწყვეტს, როდესაც დარწმუნდება, რომ დასავლეთის ცივილიზებული სამყარო მასთან ომში ჩაერთვება. ევროპაში მასთან სამომავლოდ მზად არ არის; თუმცა, უკრაინის სახით ევროპაშიც ომია.

— როდის გახდება საქართველო ნატოს წევრი?

— 2008 წელს ბუდაპეშტში მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, საქართველო ნატოს წევრი გახდება. მომდევნო სამი წელი, რომელიც 2016 წელს ვარშავაში გაიმართება, ჩვენ სწორედ ამას მოვიტოვებთ. საქართველოს ხელისუფლების პოზიცია ნათელია. დამატებით პირობებზე მოლაპარაკებებსა და ვაჭრობას არ ვაპირებთ. ტექნიკური მოთხოვნები შევასრულეთ. საქმე გვაქვს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან. მე ვერანაირ საფუძველს ვერ ვხედავ, რაც ამ გზაზე უკან დაგვხვევინებს.

— რიგაში, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტზე, საქართველოსთვის ვიზის ლიბერალიზაციის მოლოდინი გქონდათ, მაგრამ ასე არ მოხდა...

— ვიზის ლიბერალიზაციას წლის ბოლოსთვის დაგეგმავდნენ, როდესაც რამდენიმე ტექნიკურ პუნქტს, სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მოთხოვნებს შევასრულებთ, მათ შორის მიგრაციის კანონის გაუმჯობესებაც იგულისხმება. ევროკავშირს საფუძველიანი და სამართლიანი მოთხოვნები ჰქონდა.

— არსებობს დასავლურ საზოგადოებაში საქართველოს მიღების პოლიტიკური ნება თუ დასავლეთმა საქართველოსთვის მეტი უნდა გააკეთოს?

— თბილისში ჩემი საცხოვრებელი ბინის ფანჯრიდან კავკასიონს ვხედავ. კარგი ხილვადობის პირობებში რუსული დროშების დანახვაც შესაძლებელია. გულწრფელად ვფიქრობ და ვამბობ, რომ დასავლეთმა საქართველოსა და უკრაინისთვის მეტი უნდა გააკეთოს. ჩვენ არ ვითხოვთ, რომ ჯარისკაცებმა საქართველოში იბრძოლონ ან მოსკოვში ბომბები ისროლონ. უბრალოდ, ვამბობთ, პოლიტიკური ნება გამოსატოვო და გვაჩვენონ, რომ ჩვენი გვერდით ყოფნა ნამდვილად სურთ.

— თუ საქართველო დასავლეთთან მეტად ინტეგრაციას ვეძარ მოახერხებს, ეს პრორუსული ძალების გაძლიერებას გამოიწვევს?

— არა, საქართველოს რუსეთის ნოსტალგია არ აქვს — ასეთია უმრავლესობის პოზიცია. თუმცა, პროდასავლური ძალების გარკვეული უკუსვლა შეიმჩნევა. ამ ფონზე, გაურკვეველი პოლიტიკური ძალები ჩნდებიან ხოლმე. ზოგადად, არა მხოლოდ ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე ვსაუბრობთ, არამედ, ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებზე, რომელიც უნდა გაგრძელდეს, მათ შორის, მედიის თავისუფლების სფეროში და სასამართლო სისტემაში.

— რა როლს ასრულებს აშშ?

— აშშ საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორია. ქვეყანა მადლიერია იმ მხარდაჭერისთვის, რასაც აშშ ჩვენს მიმართ გამოხატავს. რთულ წლებში ამერიკიდან ბევრი ჰუმანიტარული დახმარება მივიღეთ. ვთანამშრომლობთ განათლების სფეროში. აშშ სამხედრო მიმართულებითაც მნიშვნელოვან დახმარებას გვინებს.

— ახლახან ვსაუბრობდით, რომ ევროპამ უკრაინისთვის მეტი უნდა გააკეთოს. ჩვენმა ერთ-ერთმა მკითხველმა კი მოგვწერა, რომ ევროპა სხვა ქვეყნების საქმეებში არ უნდა ერეოდეს. რას უპასუხებდით მას?

— თუ მოვლენები ასე განვითარდება, რუსეთი უკან არ დაიხევს. ასეთ დროს რუსეთი ამოიცინობს „სუსტებს“, ხედავს, რომ წინ მარტივი თამაში აქვს. 2008 წლის ომის შემდეგ არავის სურდა იმის დაჯერება, რომ რუსეთის მომდევნო სამიზნე უკრაინა იქნებოდა. საერთაშორისო პარტნიორები გვეუბნებოდნენ, რომ ჩვენ გვეჩვენებოდა, მაგრამ ეს მოხდა. საკითხს პოლიტიკური კუთხით რომ შევხედოთ, ეს არის ბრძოლა ცივილიზებული სამყაროს წინააღმდეგ. პუტინი ამბობს: ჩემი წესებია — კორუფცია, ტირანია, საერთაშორისო სამართლის პრინციპების უპატივცემულობა. რუსეთი უკრაინით არ დაკმაყოფილდება. ეს არის ჩემი პასუხი თქვენი მკითხველის მოსაზრებაზე.

მატიას კენსტი, ვიქტორ მერტანი

ალიან-ჩალიანი

ნოდარ ხალაი: არაფერი მისთვის არაფერი განაპირობებს, რომელიც უნდა დაკავშირებული იყოს უკრაინის ხელისუფლების განხილვის საკითხთან. როგორც ხალაი უკრაინის საპარტოლო ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხალაის შეფასებით, 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კორექტირებულ ვარიანტთან დაკავშირებით ეროვნული ბანკის დასკვნა ურთიერგამომრიცხავია. როგორც ხალაიმ



უზრუნავს განუცხადა, დასკვნის ერთ ნაწილში ეროვნული ბანკი მთავრობას გადასახადების გაზრდას ურჩევს, რაც „არ ესმის“.

„რა თქმა უნდა, გაეცანით დასკვნას. სამწუხაროდ, ეს დასკვნა არის ურთიერთგამომრიცხავი. მაგალითად, ერთ ნაწილში წერია, რომ საგადასახადო ბალანსის დეფიციტის დაფარვისთვის სახელმწიფო უნდა გაზარდოს გადასახადები. მე, სიმართლე გითხრათ, არ მესმის ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის, რომელიც თავის თავზე იღებს გადაწყვეტილებას, მთავრობას და პარლამენტს ურჩიოს გადასახადების გაზრდა“, — აღნიშნა ნოდარ ხალაიმ. ეროვნული ბანკი მთავრობას მიმდინარე ხარჯების შემცირებას ურჩევს. 2015 წლის ბიუჯეტში დაგეგმილ ცვლილებებთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები და შენიშვნები, დასკვნის სახით, ეროვნულმა ბანკმა პარლამენტში უკვე გადააგზავნა.

ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ კანონი რიგ ბიუროკრატიულ მექანიზმებს აღარ გაითვალისწინებს.

მთავრობის ინიციატივით აღნიშნულ კანონში დაგეგმილი ცვლილებებით, პირი, რომელიც თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ სამინისტროში წერილობით განაცხადს შეიტანს, იგი დარეგისტრირდება როგორც თავშესაფრის მაძიებელი ყოველგვარი წინასწარი განხილვის და რაიმე გადაწყვეტილების მიღების გარეშე, მის მიმართ დაიწყება ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საფუძველზე შესწავლა და მიღებულ იქნება შესაბამისი გადაწყვეტილება.

თავშესაფრის მაძიებელ პირის რეგისტრაციის, პირისათვის ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების თაობაზე საკითხს განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო. საკანონმდებლო პროექტის ავტორი სოზარ სუბარის უწყებაა.

თავშესაფრის მაძიებელი პირს უფასო იურიდიული დახმარება უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება ექნება.

„იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებების მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ პირებს სამინისტროს მიერ ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე უარი ეთქმებათ, ან გაუთქმდებათ ან შეუწყდებათ შესაბამისი სტატუსი და სტატუსის მინიჭებას ან აღდგენას სასამართლოს მეშვეობით მოითხოვენ, ასეთი პირები სასამართლოში მათი უფლებების დასაცავად უფასო იურიდიული დახმარებით ისარგებლებენ. იურიდიული დახმარებას კი, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები გასწევენ. პარლამენტის მიერ კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, ის 2016 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება.

ინტერპრესი

„ეს ჩემი საქმე არ არის“

სომხეთში ბოპოქრობდა... საბაბი? – ელექტროენერგიაზე ტარიფების გაზრდა. დემონსტრანტები აცხადებდნენ – ფესს არ მოვიცვლით, ვიდრე ხელისუფლება ტარიფებს არ შეამცირებს.

შემამცირეს კიდევ, უფრო ზუსტად – არ გაუზრდათ!

სომხეთის მოსახლეობას, საშუალო თვიური შემოსავლით (300-400 დოლარი) გაუჭირდება 16%-იანი ზრდის დაფარვა? გაუჭირდება თუ არა, მან უკეთ იცის.

მე უფრო მეტად ის მაინტერესებს, როგორ მოახერხა ჩისში მომწვედელმა სომხეთმა თვეში, საშუალოდ 300-400 დოლარამდე ასვლა? „დემოკრატიულ“ საქართველოში მცხოვრებლებს, ანუ ნებისმიერ ჩვენგანს უნდა გაუჩნდეს ასეთი მარტივი კითხვა ან თუნდაც ის, რატომ აქვს სომხეთის მოქალაქეს მეტი პენსია, ვიდრე ჩვენსას? არ ვლამპრობ ბელარუსზე, ყაზახეთზე ან აზერბაიჯანზე, მით უმეტეს რუსეთზე – ისინი ხომ ჩვენი და დასავლეთის განმარტებით „ტოტალიტარულნი“ არიან.

ის, რომ ამიერკავკასიაში აზერბაიჯანმა, თითქმის ყველა პარამეტრით დანარჩენ ორს გაგვიხნო, ხომ ფაქტია?! ვიძახოთ ახლა ტოტალიტარული აზერბაიჯანი, ერთმმართველი ილხამ ალიევი, ამით ხომ არც აზერბაიჯანს დააკლდება და არც ალიევის ოჯახს? ვიყოთ გულწრფელი და ვაღიაროთ, რომ ალიევემა ფესზე დააყენეს აზერბაიჯანი.

თვალი შეავლეთ ბაქოს, სხვა ქალაქებს, ახალ მშენებლობებს, გზებს, სპორტისა თუ კულტურის სასახლებს, უამრავ მუსიკალურ ფესტივალს, თუნდაც ევროპის პირველ ოლიმპიურ თამაშებს. დაუნახავი უნდა იყოს ადამიანი, ვერ შეაფასოს – აზერბაიჯანის მიერ გაკეთებული გიგანტური ნახტომი. დაუნახავი უნდა იყოს ადამიანი, რომ ჯეროდ არ შეაფასოს აზერბაიჯანის სპორტსმენების გუნდური წარმატება – ევროპის პირველ ოლიმპიადებზე.

დაიხ! აზერბაიჯანს აქვს ნავთობი და გაზი, მაგრამ მისი სხვადასხვა მიტანის შესაძლებლობა რომ არ აქვს? ჩვენი ტერიტორიის გავლით ხდება აზერბაიჯანული ენერგომატარებლების ტრანსპორტირება. მაგრამ საქმე მართო ენერგომატარებლებში და მის სიკეთეშია? ჩემი აზრით, საქმე ჭკუა-გონებაში და იმაშია, თუ როგორ გამოიყენებ ღვთის მიერ ნაბოძებ შესაძლებლობებს. როგორც ცხოვრება გვიჩვენებს: ის პრაგმატულად იყენებს, ჩვენ – ვერა. სატრანზიტო დერეფანი მაქვს მხედველობაში.

აზერბაიჯანის არ მიკვირს, მაგრამ სომხეთის? როგორც ჩანს, იქაური დემოკრატია სხვაგვარია – პრაქტიკული, პრაგმატული და არა მოლაქაქა, როგორც აქ.

ჩემი „აღმოჩენა“ სომხეთის საშუალო ხელფასთან დაკავშირებით სულაც არ ჩაითვლება აღმოჩენად, ჩვენს რომელიმე ტელეკომპანიას რომ გასჩენოდა სურვილი და ერთხელ მაინც მოეთხორო მეზობელი ქვეყნების ცხოვრებაზე – საფუძვლიანად, სიღრმისეულად. მე თუ მკითხავთ, მსგავსი რამ, თუნდაც თვეში ერთხელ მაინც უნდა ხდებოდეს – საქართველოს მოსახლეობის თვალის ასახელება.

მეც ვარ რა?! ვის უნდა საქართველოს მოსახლეობის თვალის ახელება? – არც არავის, უპირველესად ხელისუფლებას, რომელსაც ხალხის ჭურში ყოფნა უფრო აწყობს, ვიდრე თვალის ახელება. თუ ეს არ სურს, რატომ არ ავალდებულებს თბილისში მივლინებით ჩამოსულ აზერბაიჯანსა და სომხეთში ან სხვა ქვეყანაში აკრედიტებულ საქართველოს დიპლომატებს ტელეეთერში გამოსვლას ადგილსამყოფელი ქვეყნის პოლიტიკასთან, ეკონომიკასთან, სოციალურ ყოფნასთან დაკავშირებით?

მაგრამ არა! ცალ კარში თამაში ურჩევნიათ, ანუ სულ იმის ძახილი – რა მაგრები ვართ – ევროსოციალისტების ხელშეკრულებასაც ხელი მოვანერეთ და ანტისარაკეტო სისტემების განთავსებასაც ვაპირებთ ერთ ციქსა ტერიტორიაზე, თან ამ დოკუმენტზე ხელმოწერს არაფერს ვეკითხებით – რა დაუჯდება საქართველოს ასეთი სისტემა. თავდაცვის მინისტრი გვეუბნება, ხელშეკრულება საიდუმლოა და თანაც ამას ისე ამბობს, თითქმის ის იყო საქართველოს ხალხი და არა ამ ხალხის მიერ დანიშნული მოხელე.

სოციალური საკითხები ისეთია, ყოველ კვირას რომ ასეულათასობით ადამიანი გამოიყვას პარიზის, ლონდონის, ბრიუსელის, რომის, სხვა ქალაქების ქუჩებში. სოციალური საკითხები ისეთი „არასერიოზულია“, საქართველოს სამიტინგოდ რომ ვერ გამოიყვანს, ეს კარგად იცის ხელისუფლებამ და ამიტომაც ანტისარაკეტო სისტემის ხელშეკრულებასაც მოაწერს ხელს და ხუდონების მშენებლობის დაწყებასაც. მდინარე „ვერეს“ ოინების შემდეგ, რომელსაც მსხვერპლი მოჰყვა, ვერაფრით ვიფიქრებდი, რომ ხუდონების მშენებლობის დაწყებაზე გაგრძელდებოდა საუბარი, თანაც კატეგორიული, თანაც ხელისუფლების მხრიდან.

„თათარიანად“ ამასაც ააშენებენ, საკუთარ დივიდენდებსაც მიიღებენ და თუ რამე მოხდა, ახალი ხელისუფლება იქნება შუამი და არა ის, რომელიც დღეს არის. ახალიც ისეთივე მიკობ-მოკიბული იქნება ძველის მმართველი, ისე, როგორც „ოცნება“ „ნაცთა“ მიმართ. ისევე მოხდება რაღაც, რაც „თათარიანობაში“ იცის და ისევე იქნება გოდემა, მაგრამ არ იქნება ხალხის გამოსვლა ისეთი, სომხეთში რომ არის. რატომ? იმიტომ, რომ სომხს აქვს საერთო საქმისთვის ბრძოლის უნარი, ჩვენ?!

ხუდონების მთავრობის აჩემებაა და კიდევ იმის, კულისებიდან რომ ხელთუყრია ქვეყნის საჭე. მათ სურთ ხუდონების. არ სურს იქაურებს. მაგრამ ისინი თითზე დასათვლელი არიან. სად არის ხალხი? ხალხი სახლშია სადღე, რომელსაც მსხვერპლი მოჰყვა, ვერაფრით ვიფიქრებდი, რომ ხუდონების მშენებლობის დაწყებაზე გაგრძელდებოდა საუბარი, თანაც კატეგორიული, თანაც ხელისუფლების მხრიდან.

„თათარიანად“ ამასაც ააშენებენ, საკუთარ დივიდენდებსაც მიიღებენ და თუ რამე მოხდა, ახალი ხელისუფლება იქნება შუამი და არა ის, რომელიც დღეს არის. ახალიც ისეთივე მიკობ-მოკიბული იქნება ძველის მმართველი, ისე, როგორც „ოცნება“ „ნაცთა“ მიმართ. ისევე მოხდება რაღაც, რაც „თათარიანობაში“ იცის და ისევე იქნება გოდემა, მაგრამ არ იქნება ხალხის გამოსვლა ისეთი, სომხეთში რომ არის. რატომ? იმიტომ, რომ სომხს აქვს საერთო საქმისთვის ბრძოლის უნარი, ჩვენ?!

ხუდონების მთავრობის აჩემებაა და კიდევ იმის, კულისებიდან რომ ხელთუყრია ქვეყნის საჭე. მათ სურთ ხუდონების. არ სურს იქაურებს. მაგრამ ისინი თითზე დასათვლელი არიან. სად არის ხალხი? ხალხი სახლშია სადღე, რომელსაც მსხვერპლი მოჰყვა, ვერაფრით ვიფიქრებდი, რომ ხუდონების მშენებლობის დაწყებაზე გაგრძელდებოდა საუბარი, თანაც კატეგორიული, თანაც ხელისუფლების მხრიდან.



ლათას ძილს მიცემული, რომ გამოიღვიძებს, გვიანი ხომ არ იქნება?!

ამას წინათ, ერთი წერილის პატივცემული ავტორი, ერთ-ერთი პარტიის ლიდერს მიმართავდა – „ქართული სოფლის გადარჩენასა და აღორძინებაში ჩადებულ მილიონებს მაინც ვერ ხედავთ?“ მე ვერ გეტყვით რა პასუხს გასცემს ადრესატი ან ჩათვლის თუ არა მიზანშეწონილად პასუხის გაცემას, მაგრამ ჩემი მხრივ ვიტყვი – როგორ ვერ ვხედავ, ვხედავ, მაგრამ იმასაც ვხედავ, რა „სიკეთე“ მოუტანა ამ ფულმა სოფელს. თუ სიკეთედ სოფლებების მიერ მიწის დამუშავების ნაცვლად, მსუბუქი ავტომანქანების შექმნა და თბილისში „ტაქსაობა“, მოუტანია და ეგ არის.

დაიხ! სახელმწიფომ კი ჩალო, მაგრამ ყოველგვარი შესწავლის, ანალიზის გარეშე ან რა ანალიზს ველით სხვა პროფესიის ადამიანისგან, რომელიც სოფლის მეურნეობას ხელმძღვანელობს?

შექმნილი მდგომარეობა აძილებს საქართველოს მთისა და ბარის, სოფლისა და ქალაქის მოსახლეობას უცხოეთში გადახვეწას ლუკმაპურის მოსაპოვებლად, ოჯახის გამოსაკვებად. და ვიდრე სახელმწიფო, ხელადებით, დაუფიქრებლად ფულს გამოუყოფს სოფელს, წინასწარ ის მაინც შეისწავლოს, არის თუ არა იმ სოფელში დარჩენილი მოსახლე?

მე დემოგრაფია არ ვარ, მაგრამ დიდი დემოგრაფია არ სჭირდება იმის გაგებას, რომელ სოფელში რამდენია დარჩენილი. იქნებ პროფესორ ან ზოო თოთაძისთვის გვეკითხა ქართული სოფლის შესახებ?!

ამას წინათ ჩემი ახლოებული ქალბატონი მეუბნებოდა – ორი სოფელი მაქვს, ერთი დღე

შეთში, მეორე – კასპში. ორივე დაცლილია ქალებისგან. ისინი უცხოეთში არიან გადახვეწილი და გამოგზავნილი ფულით ოჯახებს ინახავენო, ანუ შრომასგადაჩვეულ კაცებს, ქმრებს, რომლებიც ლოთობენ, შვილები კი თბილისში თავშეფარებულები, ნარკომანობენო. ცხადია, ეს ყველა ოჯახს არ ეხება, მაგრამ ზოგს რომ ეხება, ფაქტია.

ევროპა-ამერიკა 23 წელიწადია, მხარში გვიდგას, მაგრამ ვერ ხედავს საქართველოს პრობლემებს. იქნებ არ ხედავს? იქნებ მას სურს, რომ ასე იყოს? ერთი წუთით დაფიქრდეთ და ვთქვათ – საქართველო რომ აფრიკის კონტინენტზე მდებარეობდეს და არა რუსეთის მეზობლად, ისევე ჩაგვთვლიდა სტრატეგიულ პარტნიორად? არ მითხრათ, ჩაგვთვლიდა? თუ აფრიკის 50 სახელმწიფოს არ თვლის, ჩვენ რატომ ჩაგვთვლიდა? ჩვენი ცოდნა დასავლური პოლიტიკისა ნულს უტოლდება და იმდენად გულუბრყვილოა, სინანულს იწვევს.

დაიხ! დასავლეთი პარტნიორად გვთვლის

საყოველთაო

ინდიფერენტულობის ქვეყანა

რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში – აშშ-ის ნომერ პირველ მტრად აღიარებულ ქვეყნის წინააღმდეგ. აშშ-მა წინა ხელისუფლების და მისი ლიდერის სააკაშვილის სახით ისეთი პარტნიორი გამოძებნა – შემხვედრ გვეგებს რომ სთავაზობდა მას. 10 და მეტი წლის განმავლობაში საქართველო იყო სადგისი აშშ-ის ხელში, რომელსაც დროდადრო სთავაზობდა რუსეთს ფაფუკ დუმაში. დღეს მსგავს ადგილი არა აქვს, მაგრამ რაკეტსანაღმდეგო სისტემისა და ნავთოს საწვრთნელი ბაზის განთავსება საქართველოს ტერიტორიაზე იგივე სადგისი არ არის?!

რუსეთის წყალობით ვართ „პარტნიორები“ და მეტი არაფერი. ჩვენ და არა ღმერთის მიერ ბოძებული ჩვენი ტერიტორია.

ახლა რაც შეეხება ამერიკელთა მოცემულ ფულს, მისი რაოდენობა გაცილებით მცირეა, სადგისობასთან შედარებით. ვინმეს უნახავს დასავლური ფულით, მათ შორის ამერიკული განხორციელებული პროექტი, თუნდაც ერთი ქარხანა ან ფაბრიკა? არის ერთი და თანაც ისეთი, თვით აშშ-ის სპეციალისტებში რომ იწვევს შემოფოტებას. მათში და არა ჩვენში (ლუგარის სახელობის ბიოლოგიური კვლევის ცენტრი მაქვს მხედველობაში).

ამ უაღრესად საეჭვო ობიექტის შესახებ ბევრი ინერება იქ, მაგრამ არა აქ. არადა, ჩვენ უნდა ვწერდეთ, ჩვენ უნდა მოვითხოვდეთ შეზღუდვას და არა ამერიკელი ექსპერტები. არც აშშ-ს და არც ევროპას ერთხელაც არ უკითხავს „ნაცებისთვის“, რაში დახარჯეს ნაბოძები გრანტები?

ის რომ, წინა ხელისუფლება მოსუქდა, ყველანი ვხედავდით, მაგრამ ვერ ხედავდა აშშ-

ის საელჩო, ისე, როგორც ვერ დაინახა 2008 წელს გორი-ცხინვალის მიმართულებით მიმავალი საქართველოს ტანკები და მძიმე ტექნიკა. რა გამოდის? აწყობდა აშშ-ს საქართველო-რუსეთის კონფლიქტი?!

თვით ამერიკელი ექსპერტების მიხედვით – აწყობდა და რომ აწყობდა, იმიტომ დაიბრმავა თვალი. თუ უმინშენელო არასამთავრობო ორგანიზაციის გამო აშშ-ის ელჩი თავს უფლებას აძლევს მკაცრი განცხადება გააკეთოს, რამ დაუშალა მას ასეთი გაკეთება 2008 წლის 5-6 აგვისტოს?

დაიხ! ჩვენ გვაქებენ, გვაქებენ იმიტომ, რომ უსიტყვოდ, ყურმოჭრილ მონასავით ვასრულებთ მათ დავალებებს. არ შევასრულებთ და სხვა სახელით შეგვაძკობენ, ისე, როგორც ალიევის და სარგისანს. როგორ გგონიათ, ისინი რჩებიან ვალში? ალიევი თავსაც არ უყადრებს ამერიკელ პოლიტიკოსებს და პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის დონეზე სცემს პასუხს ადამიანის უფლებების „დამცველ“ ამერიკელებს.

ვერ ვიტყვი, რომ აზერბაიჯანში აშშ-ის ელჩს მშვიდი ცხოვრება ჰქონდა. ვერც იმას ვიტყვი, რომ ის წამდაუნუმ ალიევის რეზიდენციაში დადიოდა თავისი სურვილით. აზერბაიჯანმა დაბალანსებული პოლიტიკა აირჩია, თან დასავლეთთან თანაბარი უფლებების პრიორიტეტი და არა ყურმოჭრილი მონობა.

სომხეთიც კერკეტი კაკალი გამოდგა დასავლეთისთვის, ამიტომაც ცდილობს მის გატყვას ესოდენ გულმოდგინედ. ამიტომაც ცდილობს დენის ტარიფის ანევიტა გამოწვევით მიტინგის პოლიტიკურში გადაყვანას. „სამართალდამცველებმა როგორ გაბედეს მომიტინგეთათვის წყლის ჭავლის მიშვება და დაკავებაო“, – ისე იბღვალა საქმეგაჩენილმა აშშ-ის ელჩმა სომხეთში, თითქმის აშშ-ში სულ ვარდებს და ფუნთუშებს ესროდეს პოლიცია ხალხს.

აქვე მინდა, აღვნიშნო იმ საყოველთაო ინდიფერენტულობაზე, რაც ჩვენთან ხდება და რასაც – „ეს ჩემი საქმე არ არის“ ჰქვია. როდესაც „კარფურის“ დაცვის მუშაკი შეკითხვაზე – „ურთკა სად გავაჩერო“, – გპასუხობს – „ჩემი საქმე არ არისო“ და თან უშვერ სიტყვებს გაკადრებს, საველლო დღევანდელია.

როდესაც თბილისის პატრული, რომელიც ცენტრალურ ქუჩებზე ახლადგაჩენილ საავარიო ორმოს არ ხედავს და ქალაქის მესვეურებს არ ატყობინებს – დანაშაულია. როდესაც პატრული სახლების ფსადების უხამსი სიტყვებით „გამლამაზებებს“ ჩაუვლის, თითქოს არაფერი, – დანაშაულია.

როდესაც „მარშრუტკის“ მძღოლი სიგარეტს აბოლებს, თან ფანჯარაში აფურთხებს და მგზავრები არაფერს ამბობენ, რას იტყვიან უფრო სერიოზულზე, ანუ იმაზე, რომ საღამოს 9 საათზე „მარშრუტკები“ საუკეთესო ნება-სურვილიდან გამომდინარე წყვეტენ მუშაობას? დააკვირდით – საქარე მინის გარდა, არც ერთ საქალაქო ტრანსპორტს ნომერი არ აქვს.

ის, რომ ქუჩა არ იხვეტება და არ ირეცხება, ქალაქია დამნაშავე, მაგრამ უფრო მეტად ჩვენ, რომლებიც ინდიფერენტულად ვუდგებით ყველაფერს. ის, რომ თითქმის ყველა ტელევიზია დღეში სუთჯერ გვთავაზობს სააკაშვილის „საგმირო“ საქმეებს ოდესაში და ჩვენ ერთხელაც, საპროტესტოდ ვერ მოვიცალეთ, თუნდაც ტელეკომპანია „რუსთავი-2“-თან, „პირველ არხთან“, „იმედთან“, „მაცესტროსთან“ – ხომ ფაქტია?!

გასსოვთ, „ნაცებმა“ რა ცეცხლი დაანთეს „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით?!

ბონის ერთ-ერთი ბარის წინ, ღამის 9 საათზე მაგადასთან შემოხსდრებებს, ოციცინტამა მორიდებით გვიტონს, თუ 10 საათის შემდეგაც ვაპირებდით იქ ყოფნას, უმჯობესი იქნებოდა ბარში შესვლა, ვინაიდან საკმაოდ მოშორებით მდებარე საცხოვრებელი სახლის ბინადარნი, რომელთაც არათუ ჩვენი ლაპარაკი, ბლავილიც კი ვერ მინვდებოდა, პოლიციაში დარეკავდნენ და ბარის პატრონს დააჯარიმებდნენ.

ცუდის, მრუდის, მიუღებლის წინააღმდეგ ბრძოლა ყველა საქმეა, მითუმეტეს ხელისუფლების, რომელიც თავს იმართლებს და ამბობს – „ეს ჩემი საქმე არ არისო“. ჩვენც, ნაცვლად იმისა, მივანიშნოთ ინდიფერენტობაზე, პირიქით ვაცხადებთ – მისი საქმე არ არისო და რახან ასე ვიტყვით, არ უნდა გვიკვირდეს არც ხელისუფალთა მალაი ხელფასები, ხელფასზე დანაშაულები, სხვა „სიკეთები“, რომლებმაც დააქცია ქვეყანა, თან ისე, რომ გამომსწორებულს (თუკი ასეთი გამოჩნდა ჩვენს რიგებში) ძალიან გაუჭირდება.

კამლატ ჭიკაშვილი,
პოლიოლოგი.

790 წელი გავიდა საქართველოს ერთ-ერთი უმძიმესი მარცხიდან — გარნისის ბრძოლიდან. ეს 1225 წლის ზაფხულში მოხდა. საქართველოში მეფე თამარის ასული რუსუდანი მეფობდა (1223-1245 წწ.). ერთ დროს ძლიერ და მთელს წინა აზიაში სახელგანთქმულ მონღოლთა — ნიკოფსიდიან და რუზანდამდე და ოსეთიდან არეგანამდე გადაჭიმულ ქვეყანას, ბზარის შემპარვოდა. ამ დროს სვარაზმელები და მონღოლები ძლიერდებოდნენ. სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლებამ სათანადოდ ვერ შეაფასა მონღოლებისგან (და შემდეგ სვარაზმელებისგან) მომდინარე საფრთხე. ჯერ კიდევ 1220-1221 წლებში მეფე ლაშა-გიორგის მოუხდა მონღოლებთან შებრძოლება და საბოლოოდ მარცხი განიცადა.

1223 წლის თებერვლიდან ქვეყანას გახადებდა რუსუდანი, რომელსაც ნაკლებად გააჩნდა ქვეყნის მმართველისათვის საჭირო თვისებები. წვრილ-წვრილ ომებში, რომელიც საქართველოს ყმადნაფიც ქვეყნებთან, ან მონღოლთაგან დევნილ ყივჩაყებთან ჰქონდათ, ქართველებმა მარცხი იგემეს. მიზეზი მეფისა და ქვეყნის ათაბაგისა და ამირსპასალარის ივანე მხარგრძელის წინდაუხედაობა იყო.

მონღოლებთან პირველი მარცხის შემდეგ საქართველოს ხორეზმშაჰ ჯალალ ედ-დინთან (იგი ხორიზმშაჰ მუჰამედის მემკვიდრე იყო) ბრძოლა მოუხდა.

ეს ბრძოლა 1225 წლის ზაფხულში გაიმართა — გარნისში. ეს ციხე და დაბა, რომელიც იმ დროს საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში იყო, ქ. ერევანის მახლობლად მდებარეობს. იგი აგებულია კლდოვან კონცხზე, ზღვის დონიდან 1400 მეტრის სიმაღლეზე. ადრე სომეხ მეფეთა საზაფხულო რეზიდენცია იყო. როცა ქართველებმა მიიღეს ცნობა ჯალალ ედ-დინის კავკასიაში შემოჭრის შესახებ (სვარაზმელები ჯერ ქ. დვინის მოსაზრებას შეუდგნენ), შეკრებილი ლაშქარი გარნისთან დაბანაკდა, სარდლობა ივანე მხარგრძელს დაეკისრა. სამოცი ათასი ქართველი იყო მზად ბრძოლისათვის. ჯალალ ედ-დინს, როგორც ჩანს, ჰქონდა გარკვეული ინფორმაცია; იგი არ დაელოდა ქ. დვინის აღებას და მთელი თავისი ლაშქრით, რომელიც ზევრად აღებადებოდა ქართველობას, გარნისისკენ გაემართა.

მონღოლთა დროინდელი მემკვიდრე — ჟამთააღმწერლად ცნობილი გადმოგვცემს, რომ ლაშა-გიორგის გარდაცვალებიდან მესამე წელს, „სვარაზმელნი მოვიდეს... ტყუენვად, მოხრებდა ქვეყანათა“. ქართველთა ბანაკი მდ. გარნისისწყლის ღრმა ხეობაში განლაგდა. ივანე მხარგრძელმა წინამბრძოლედ გამოჰყო თორელები და „ქმანიცა იგი“ ორნი ახალციხელნი შალვა და ივანე „სახელოვანნი იგი წინამბრძოლნი, ვითარ წესად არს სახლისა მათისა წინამბრძოლთა“. ქართველები არ ჩქარობდნენ შეტევაზე გადასვლას, ახალ ძალებს ელოდნენ. ჯალალ ედ-დინმა, მიუხედავად სირთულეებისა, თავად შეუტია ქართველთა წყობას, კერძოდ, ცენტრსა და მარჯვენა ფრთას: „დაეახლნეს წინამბრძოლნი და სულტანი“. როგორც ჩანს, ქართველი წინამბრძოლნი რიცხობრივად მცირე იყვნენ და მათ ივანე მხარგრძელს კაცი გაუზავნეს და მოშველება სთხოვეს. მეორედაც მოუხდათ მოციქულის გაგზავნა, თუმცა, დახმარება ვერ მიიღეს („ხელი იგი ივანე — რ. მ.) არარას მიუგებდა“). წინამბრძოლნი იძულებულნი გახდნენ შეესხებინათ მიუღებლად ბრძოლაში ჩაბმულებს: „ვითარცა მხეცნი ზედა მიეტივენეს, რომელთა შინა იქმნეს ძლიერი ომი. მოსწყდა ორგანივე ურიცხვი“. ჟამთააღმწერელი აფიქსირებს, რომ ივანე მხარგრძელი „დაგეს შორით და არა ინება შეველ“. თანაც ამატებს, რომ „შურითა იტყვიან ამას ყოფად და არა თუ შიშით“. ეს შინა პოლიტიკური ბრძოლა, ეგრერივად რომ ახასიათებდა შუა საუკუნეებს. როგორც ჩანს, ივანე მხარგრძელი ვერ ეგუებოდა ახალციხელთა წარმატებებს და მისგან დაუხმარებლობა შეგნებული ნაბიჯი იყო — მათთან ანგარიშის გასწორებას ცდილობდა. ამგვარი ქმედება ქვეყნისათვის მეტად მძიმე აღმოჩნდა. ბრძოლა გრძელდებოდა: „ცხენი ორთავე მძათა ახალციხელთა დაუხოცეს და ქვეითნი მხნედ იბრძოდნენ“. მათ ხმლებიც დაუმტვრიეს, მტრის შემოტევა იმდენად ძლი-



ჯალალ ედ-დინის სისხლიანი მისია საქართველოში

ერი იყო, რომ წინამბრძოლედ ვეღარ შესძლეს წინააღმდეგობის გაწევა და უკან დახევა იწყეს. შალვა ახალციხელს ურიცხვი მტერი შემოეტყუა და იგი ტყვედ ჩაიგდეს. რაც შეეხება ივანე ახალციხელს „გარნისისა კლდესა შელტოლილი, ზენაკერძო მოტყევეულითა ქეთა მოიკლა“.

ტყვედჩაგვარდნილი შალვა სულტანს მიჰგვარეს, ამასთან მოახსენეს „ახოვანება და ნყობათა შინა სიქველე მისი“. სულტანმა პატივით მიიღო იგი და „მიანიჭნა ქალაქნი ადარბადაგანისანი“. გარკვეული დროის შემდეგ შალვა ახალციხელს რჯულის შეცვლა მოსთხოვეს, რაზეც ქართველმა პატრიოტმა მტკიცე უარი განაცხადა. შედეგი მძიმე იყო: „შემდგომად წელიწადისა ერთისა მოიკლა სულტანისა მიერ არდატყევი-სათვის სჯულისა“.

ქართველთა ლაშქრის სარდალი ივანე მხარგრძელი „უკუნ-იქცა“. ბიჯისის ციხეს შეიფარა თავი. ამ უკანსებლად ჯარში პანიკა გამოიწვია და გაქცევა უწყისრივად მოხდა. გარნისთან ბრძოლაში მრავალი ქართველი დაიღუპა. ზარალი დიდი იყო. ჯალალ ედ-დინის ჯარი „ალაოხრებდეს საქართველოსა, არბუედეს და ტყუენვადეს და სრულად უწყალოდ ჰხოცდეს და არავინ იყო ნუგეშისმცემელი მათი“.

გარნისთან გამარჯვებიდან რამდენიმე თვის შემდეგ (1225 წ. დეკემბერი), ჯალალ ედ-დინი თბილისისკენ დაიძრა. იგი ქართველთა სარდლობას შეხვდა და წინადადება მისცა ცოლად გაჰყოლოდა მეფე რუსუდანი. სულტანის ვარაუდით, ამ ნაბიჯით გაერთიანდებოდა ქართველ-ხორეზმელები ლაშქრით და ერთიანი ძალით წარმატებით შეებრძოლებოდნენ მონღოლებს. როცა საქართველოს სამეფო კარისაგან უარყოფილი იქნა ჯალალ ედ-დინის წინადადება და

ამასთან სულტანმა შეიტყო, რომ ქართული ლაშქარი ძლიერდებოდა მონღოული ალანთა, ყივჩაყთა და ლეკთა დახმარებით, თავად დაუსწრია. მან ერთხელ კიდევ დაამარცხა ქართველთა ლაშქარი და თბილისისკენ გამოსწია.

როგორც კი შეიტყო მეფე რუსუდანი — ჯალალ ედ-დინის თბილისისკენ წამოსვლა, დატოვა დედაქალაქი, „აიყარა და წარვიდა ქუთათისს“. მეფემ თბილისის დაცვა ლაშქართან ერთად მემნა და ბოცო ბოცოსძეებს დაავალა. იმ დროის თბილისი, როგორც გადმოგვცემენ, დიდი და გამაგრებული ქალაქი იყო. ჯალალ ედ-დინმა მიიჩნია, რომ ქალაქის იერიშით აღება ძნელი იქნებოდა და ქალაქის აღების გზებს ეძებდა. ქართველებმა სულტანის თანხმობა რაზმს გაუშარტეს ბრძოლა და წარმატებითაც. „იქმნა ძლიერი ბრძოლა და ბრწყინვალე ძლევა აჩვენეს ქართველთა“. აქ თავი იჩინა შინაგამცემლობამ (სამწუხაროდ, არა პირველად). ჯალალ ედ-დინმა შეძლო თბილისის არაქართველ მოსახლეობასთან (ამ დროს თბილისი ეთნიკურად ჭრელი შემადგენლობისა იყო) კავშირის დამყარება და უფრო მეტი, აკისრებინათ ღალატი („სულტანი მიწობილი სპარსთა შინაგამცემისა“). განძის კართან (ეს დედაქალაქის ერთ-ერთი კარი იყო), რომელზედაც იერიშის მიტანა განიზრახა ჯალალ ედ-დინმა და რომელთანაც ქართველთა ლაშქარი საბრძოლოდ გამზადებული იდგა, ღალატით იქნა მოკლული თბილისის დაცვის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მემნა („სპარსმა ივანე აფთითა ძლიერ დაუხეთქა უმუზარადოსა თავსა, განუპო, და მყის დაეცა და მოკუდა“). განძის კარი მოლაღატებმა გააღეს და მტერი ქალაქში შემოუშვეს (1226 წლის 9 მარტი). ქალაქის დაკავება მტრს არ გასჭირვებია. ჯალალ ედ-დინის ბრძანებით საშინელი ხოცვა-ჟლეტა ატყდა. მოვუხ-

მობთ ჟამთააღმწერელს: „და ესრეთ რა ძლიერად ხელთ-იგდო ქალაქი სულტანმან, კუალად იწყო უბოროტესთას ბოროტთა ქმნად ქრისტიანეთა ზედა“. ხალხის უმოწყალო ხოცვას არ დასჯერდა, „... იწყო რღვევად ეკლესიათა, ვიდრე საფუძველამდე აღფხვრა, რომლისათვის იკადრა და ხელ-ყო სიონის გუმბათსა შემუსვრად და ზედა ბილწისა საჯდომისა მისისა აღშენებად, რომელი იგი ხიდიოთა მალლითა და გრძელითა განხილა ასვლად“.

ეს ფაქტი უპრეცედენტოა. საქართველოს დამპყრობლები ჰყავდა, მაგრამ ამდგვარი სისასტიკე-სიბოროტე არავის ჩაუდენია. მოსაფიქრებლადაც კი ძნელია ქვეყნის უბრველეს ტაძარს გუმბათი მოაძრო და იქ შენი (სულტანის) ტახტი განათავსო. კიდევ უფრო შორს წავიდა გამძვინვარებელი დამპყრობელი. გასცა ბრძანება და სიონის ტაძრიდან გამოათანინა იესო ქრისტესა და მარიამ ღვთისმშობლის ხატები, პირაღმა დაანყობინა ისინი ხიდზე; მოარეკინა ტყვეები („პყრობილთა ქრისტიანეთა, მამათა და დედათა“) და მოითხოვა, რომ ხატებისთვის შეურაცყოფა მიეყენებინათ — ფეხით „დაეთრგუნათ“ ისინი. წინააღმდეგ შემთხვევაში თავის მოკვეთით დაემუქრათ სულტანი. ჟამთააღმწერელი ადასტურებს, რომ მრავალმა ქრისტიანმა არ შეასრულა ბრძანება და მონაშთობრივი სიკვდილი არჩია: „მრავალი სიმწიროვა მამათა და დედათა იპოვა ახოვნად, რომელთა მიიღეს გვირგვინი წამებისა, რომლისა აღრაცხვა შეუძლებელ არს სიმრავლისათვის“. მებატიანე ვარაუდობს, რომ ასი ათასი კაცი შესწირვია უფლის სიყვარულს.

ეს ასიათასი ადამიანი დღეს წმინდანებადაა შერაცხილი საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მიერ და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთათბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია მეორე ყოველწლიურად მათ მოსახსენიებელ დღეს საგანგებო ლიტურგიას იხდის (ლოცვა-კურთხევას აღავლენს) სწორედ იმ ხიდზე, სადაც ეს ასიათასი კაცი აწამეს.

იქნებ არც იყო საჭირო საქართველოს, ქართველი ხალხის გმირულ ისტორიაში ცალკეული მარცხების დაწვრილებით აღწერა და გადმოცემა. ჩავთვალოთ, რომ ხალხს გმირებთან ერთად უნდა ახსოვდეს ის სისხლიანი დამპყრობლებიც, რომელთაც ქვეყნის წინსვლა-პროგრესი შეაფერხეს. სორეზმშაჰ ჯალალ ედ-დინი ერთი ამბთგანია. საქმე ისაა, რომ ადამიანები, რომლებმაც თავისი დესპოტიზმით ისტორიაში მძიმე კვალი დატოვეს (მაგ. თემურ ლენგი, ჯალალ ედ-დინი) ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ. შუა აზიის ზოგიერთი რესპუბლიკა) გმირებად მოიხსენიებიან. საზოგადოებამ უნდა იცოდეს რეალური, ობიექტური ისტორია, რათა სწორი შეფასება მისცეს ამა თუ იმ მოვლენას.



როინ მითრაპელი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი

© ჩვენ

თბილისში აპრილის დღეების შეხვედრა

თბილისში გეოგრაფიული ობიექტების აღმნიშვნელი აბრეზის დიზაინის შესარჩევი კონკურსი გამოცხადდა. როგორც თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან იტყობინებიან, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ ლია ჯახველაძემ ბრიფინგი გამართა და თბილისში გეოგრაფიული ობიექტების აღმნიშვნელი აბრეზის დიზაინის შესარჩევი კონკურსის ჩატარების თაობაზე განაცხადება გააკეთა: „დედაქალაქში ამ მმართველობით გარკვეული სახის პრობლემები შეიმჩნევა. ქალაქის უმეტეს ნაწილში ქუჩების აღმნიშვნელი აბრეზი არაა დამონტაჟებული, რაც შემთხვევებში კი ბუჭდვის დროს არაერთი გრამატიკული შედომა დაშვებული. ფაქტია ისიც, რომ ბოლო წლების განმავლობაში საერთოდ არ ყოფილა დადგენილი სკვერების, პარკების, ბაღების, ბულვარების, სანაპიროების, მოედნების აღმნიშვნელი აბრეზის დიზაინი.“

ბოლო პერიოდის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა პრობლემის მოგვარების, კერძოდ, გეოგრაფიული ობიექტების აღმნიშვნელი აბრეზის დიზაინის შემუშავე-

ბის თაობაზე. კონკურსი 6 ივლისს გამოცხადდა და 25 ივლისამდე გაგრძელდება.

თბილისის მერიის „მომავლის ქალაქის“ კონსეფცია განიხილეს

როზმორც თბილისის მერიიდან გვაცნობს, მერიაში „მომავლის ქალაქის“ კონსეფცია (Morgenstadt City) უტყობელ სპეციალისტებთან ერთად განიხილეს. პროექტთან დაკავშირებით თბილისში ევროპის წამყვანი კვლევითი ინსტიტუტის, „ფრაუნჰოფერის“ დელეგაცია იმყოფება. დელეგაციის წევრებს გუშინ თბილისის მერი დავით ნარმანი და თბილისის ვიცე-მერი დიმიტრი ქუშინიშვილი შეხვდნენ. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები და სფეროს სპეციალისტები.

მერიის განცხადებით, შეხვედრაზე პროექტის დაწყების დეტალები და სამუშაო გრაფიკი განიხილეს. უცხოელმა სპეციალისტებმა თბილისის მთავრობის წევრებს სხვადასხვა ქვეყნებში ამ მმართველობით საკუთარი გამოცდილება გააცნეს. კონსეფციაზე მუშაობა 2016 წლის თებერვალში დასრულდება.



ამას წინათ სათანადო განცხადებით მიმართეთ ხელისუფლებას იმ პრობლემის თაობაზე, რაც არაერთ საზრუნავს უჩენს დედაქალაქის მესვეურებს და, სამწუხაროდ, ხშირად ხდება მოქალაქეთა ტრაგედიის მიზეზი. საუბარია თბილისისა და საქართველოს სხვა რეგიონებში გაჩაღებულ მშენებლობებზე, რომლებიც, სამწუხაროდ, ხშირად მიმდინარეობს ყოველგვარი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის, გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა (გზშ) და ლანდშაფტის თავისებურებათა გათვალისწინების გარეშე. დღეს სპეციალისტები ძალიან ბევრს საუბრობენ ამ პრობლემებზე, მაგრამ მხოლოდ სტიქიური უბედურების თავს დატყვის შემდეგ, რაც ფაქტობრივად დაგვიანებულია. არადა, თავის დროზე რომ გაკეთებულიყო სათანადო საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნები (მხოლოდ ინჟინერ-გეოლოგების და არა სხვა დარგის სპეციალისტთა მიერ), ალბათ, უამრავ ტრაგედიას ავიცილებდით თავიდან. ახლა კი, როგორც ამბობენ, ჩხუბის შემდეგ მუშტების ქნევა და დამნაშავეთა ძებნა გვიწევს, რაც დიდი ვერაფერი შედეგითაა ქალაქისთვის მიყენებული ზარალისა და სტიქიის შედეგად დაღუპულთა ახლობლებისთვის!

არ გვინდა, წინასწარ გავხედოთ მოსალოდნელი უბედურების მაუწყებლები, მაგრამ ფაქტია, რომ, თუ არ მოხდა თბილისისა და სხვა ქალაქებში ასაშენებელი სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებისა და კორპუსების საძირკვლებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების წარმართვა ევროსტანდარტების შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზშ) და მიღებული მონაცემების მისადაგება არსებულ ნორმატივებთან (რომელიც ასევე ხარვეზებითაა შემუშავებული და სასწრაფოდ დახვეწას საჭიროებს), გამოორიცხული არ არის, რომ საშუალო სიმძლავრის მინისძვრამაც კი აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენოს მოსახლეობას. ამის საშიშროება არსებობს, რადგან ნაგებობების (მათ შორის – საცხოვრებელი კორპუსების) მშენებლობა, განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდში, მიმდინარეობს ქაოტურად, შექვევითა და უჩინებელი მოთხოვნით, ყოველგვარი მოსალოდნელი საფრთხეების იგნორირებით. სამწუხაროა, რომ შემკვეთს ნაკლებად აინტერესებს მის მიერ აგებული კორპუსის შემდგომი მდგრადობის ბედი და იგი ძირითადად ფინანსურ მოგებაზეა ორიენტირებული.

მაგრამ რეალურ ხიფათს ქმნის ის გარემოებაც, რომ, როგორც უკვე აღვნიშნე, თავად სამშენებლო ნორმატივები შედგენილია დიდი ხარვეზებით, რაც ამ საქმეში არსებული ყოველი უთავბოლოების ძირითადი მიზეზია. სიტუაციას უმთავრესად ძაბავს მშენებლობის სამინისტროს, როგორც მაკონტროლებელი ორგანოს ლიკვიდაცია, რომელიც სპეციალურ საბჭოზე განიხილავდა ნებისმიერ სამშენებლო პროექტს. ამჟამად კი მინაც და მასზე მშენებლობების ნებართვის გაცემა ეკუთვნის მხოლოდ ქალაქის მერიას და არქიტექტურის სამსახურს, რაც გამოორიცხავს აღნიშნულ პროცესებზე გარე ქმედით კონტროლს.

ნურავინ იფიქრებს, რომ მდინარე ვერეს კატასტროფით ამოიწურა იმ პრობლემათა ჯაჭვი, რომლებიც დღესაც დამოკლეს მახვილით ჰკიდია ქალაქის თავზე. მინდა, შეგახსენოთ, რომ ჯერ კიდევ კომუნისტურ ეპოქაში არსებობდა ქალაქ თბილისისა და რუსთავის სპეციალური ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური პარტია, რომელთან კოორდინირებულად მუშაობდნენ მშენებლები. სწორედ ამ სტრუქტურის და, უფრო მეტიც – გეოლოგის დეპარტამენტის („საქგეოლოგია“) გაუქმებამ ქალაქის არქიტექტურის სამსახურს გაუხსნა ხელები, რამაც გააიოლა მშენებლობის პროცესებზე ნებართვების გაცემა და ამ საქმეში სათავე დაუდო სრულ ბაკანალიას.

გეოლოგიის დეპარტამენტი გაუქმდა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი შენობა ტერიტორიულად კარგ ადგილზე იყო განთავსებული და ამ შენობის ადგილმდებარეობის რეალიზაციით დამნაშავე ჩინოვნიკთა ჯგუფმა დიდი მოგება ნახა, ქვეყანას კი გამოუსწორებელი ზიანი მიადგა. რაც შეეხება თბილისში მიმდინარე მშენებლობებს, ნებართვის გაცემის უფლება მთლიანად თავის თავზე აიღო მერიის არქიტექტურის სამსახურმა, ვისაც საინჟინრო-გეოლოგიურ სფეროში არავითარი კომპეტენცია არ აქვს და არც ნორმატივები ითვალისწინებს საინჟინრო-გეოლოგიური პირობების წინა პლანზე წამოწევას, რაც აუცილებელია.

სწორედ ამიტომ არსებობს თბილისში რამდენიმე საფრთხის შემცველი უბანი, რომელთა შორის ყველაზე საშიშად მიგვაჩნია მამადავითის ფერდობი. ალბათ, გახსოვთ, ფერდობზე გზის გაყვანის დროს (1974 წელს), ანთროპოგენული (ადამიანის არასწორი ჩარევით) ფაქტორის შედეგად დაიმყარა გზა, რამაც ორი

საინჟინრო გეოლოგია – პრობლემათა გადაჭრის გზა!

ადამიანი იმსხვერპლა. სწორედ ამის შემდეგ შეიქმნა ქალაქ თბილისისა და რუსთავის სპეციალური ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური პარტია, რომლის საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური დასკვნების შეფასების გარეშე არ ხდებოდა არანაირი მშენებლობა. მაგრამ, როგორც ჩანს, ფინანსურ მოგებას დასარბებულ ადამიანებს სხვა გეგმები ჰქონდათ და, ამიტომაც გაუქმდა აღნიშნული გეოლოგიური პარტია. ამ დროისათვის შპს „საინჟინგო“ ქ. თბილისის მერიაში წარდგენილი ჰქონდა სპეციალურად მომზადებული საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნები იმ უბნებისა (რისკების შემცველი უბნები), რომლებზეც იყო მოსალოდნელი საშიშროების პროცესების განვითარება. მათ შორის იყო მამადავითის ფერდი (მაყაშვილის ქუჩაზე). ჩვენი უარყოფითი დასკვნის მიუხედავად, მაინც გაიკა ნებართვა ავტოგასამართი სადგურის მშენებლობაზე, რასაც მოჰყვა ფერდის ჩამოქცევა, რის შედეგადაც დაიღუპა ორი ადამიანი. აღნიშნული ტრაგედია მოხდა 2006 წელსაც, რაც განაპირობა სპეციალისტების აზრის გაუთვალისწინებლობამ.

გეოლოგების დასკვნათა იგნორირებას რომ დამანგრეველი შედეგები მოაქვს ხოლმე, ამას მსოფლიოს მრავალგზისი სამწუხარო გამოცდილება მოწმობს. ჩვენ კი, ვერა და ვერ ვისწავლეთ ჭკუა და სრულიადაც არ ვუნვეთ ანგარიშს იმ გარემოებას, რომ თბილისი ხეობაში მდებარეობს და გეოლოგიურად საკმაოდ რთული სამშენებლო მოედანია. ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ ჩვენს თავზე დატყვილი უბედურებიდანაც ვერ ვაკეთებთ სათანადო დასკვნებს, რადგან მდ. ვერეზე მომხდარ კატაკლიზმზე აზრი გამოთქვას ოკეანოლოგებმა, გეოგრაფებმა, ბოტანიკოსებმა, ქიმიკოსებმა, გეომორფოლოგებმა, ჟურნალისტებმა, ჰიდროლოგებმა და არქიტექტორებმა, მაშინ, როცა არცერთ ინჟინერ-გეოლოგს არ მიეცა კომპეტენტური დასკვნის გაკეთების საშუალება. ზემოთ აღნიშნულმა სპეციალისტებმა კი, საჭირო პროფესიული განათლების არქონის გამო, გვერდი აუარეს იმ რეალურ მიზეზებს, რამაც ასე დამანგრეველი გახდა სტიქიური შემოტევა.

სავარაუდოა ისიც, რომ ეს გაკეთდა სპეციალურად, რადგან ინჟინერ-გეოლოგის მოსაზრება ხელსაყრელი არ იქნებოდა იმ ხალხისათვის, ვისი გამოისობითაც დაგვატყდა თავს დიდი ტრაგედია. საინტერესოა, სად იყვნენ ეს სპეციალისტები მდინარე ვერეზე ახალი გზის მშენებლობისას და მისი დამთავრების შემდეგ – 2015 წლის 13 ივნისამდე? რატომ არ გამოთქვეს აზრი? ამ ხეობის ორივე ფერდი არის დამყარებული და მუდმივი საშიშროების ქვეშ იმყოფება. ერთ დროს გეოლოგიის დეპარტამენტში, ვერეს ხეობის საინჟინრო-გეოლოგიური პარტიაც კი არსებობდა. მეტიც: 1984 წელს მდ. ვერეს აუზში (მზიურის უბანზე) ჩემი ხელმძღვანელობით ჩატარდა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა და 1985 წელს გამოიცა ანგარიში ჰიდროპროექტის ჩართულობით, რომელიც ითვალისწინებდა მდ. ვერეს ხეობაში ორი კაშხლის აშენებას, რომელიც ნიაღვარშემაკავებლის ფუნქციას იტვირთავდა, მიიღებდა და შეაკავებდა ყველა შენაკადებიდან წამოსულ ჩამონადენს, რაც ახლა პირდაპირ ჩამოიტანა მდ. ვერემ და დამანგრეველი გახდა ხეობისთვის. საუბედუროდ, ეს პროექტი არ განხორციელდა.

ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ შპს „საინჟინგო“, ვერე კიდეც 2002 წლის 1 მაისს, №10-05 წერილით მიმართა ქ. თბილისის მერს ბ-ნ ი. ზოდელავას – თხოვნით, აღდგენილიყო ქ. თბილისში სპეციალური საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური სამსახური, რომელიც განხორციელებდა ქ. თბილისში არსებული საშიშროების გეოლოგიური პროცესების კერების უბნებზე მონიტორინგს. მერიას წარედგინა პროგრამა და მიმართულება, რაც არ განხორციელდა და შედეგიც სათანადოა.

როგორ გავხადოთ აკოდივირსია და გადავარჩინოთ თბილისი აკოკაბასტროფას?!

ასევე 2005 წლის 31 იანვარს №11-05 წერილით მერიას გაეგზავნა „მოსაზრებები საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შესახებ ქ. თბილისის მრავალთემბატური საინფორმაციო სისტემის შექმნასთან დაკავშირებით“ და გადაეცა დასკვნები, ალბომის სახით, მოსალოდნელი საშიშროების გეოლოგიური პროცესების გააქტიურების შესახებ, უბნების მიხედვით რომელიც ასევე არ იქნა გათვალისწინებული. არადა, უბედურება კარს იყო მომდგარი. სწორედ გეოლოგიური სამსახურის დასკვნების იგნორირების და მათი აზრის გაუთვალისწინებლობის შედეგად 2015 წლის 13 ივნისს მომხდარი ფაქტი.

აღსანიშნავია, რომ მერიის არქიტექტურის, ზედამხედველობის სამსახურის და ქონების მართვის სააგენტოს შესმატებული მუშაობა, როგორც ეს დღეს ხდება, არის ბუნების კეთების უნიკალური ფორმა და საშუალება, რომელიც უდავოდ ჭკვიანი ადამიანის შექმნილია, მაგრამ ამ სახით მუშაობის გაგრძელება არის ქ. თბილისისათვის დამანგრეველი, რომლის მოწინააღმდეგეა ასეთი ფაქტიც – მასმედიაში გამოითქვა აზრი, რომ უნდა გაიზარდოს მშველ კორპუსთა ბიუჯეტი, ასევე უნდა ჩამოვიყვანოთ უცხოელი გეოლოგები. ვიტყვი რომ, თუ ჩვენი ინჟინერ-გეოლოგების ცოდნას ოპტიმალურად და ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოიყენებენ, არ დაგვჭირდება მასშველთა კორპუსის ფინანსირების გაზრდა. ქვეყანას არ მოუწევს ზარალის დათვლა, პირიქით, ბიუჯეტს გამოთავისუფლებს მთლიანობით ლარი. რაც შეეხება უცხოელი სპეციალისტების ჩამოყვანას, ქართველ ინჟინერ-გეოლოგებს შეუძლიათ, იქით დაეხმარონ სხვა ქვეყნების სპეციალისტებს, რასაც აკეთებენ კიდევაც. ასეთი გახლავთ ჩემი მოსაზრება 13 ივნისს მომხდართან და



როგორ ვებრძოლოთ ღვარცოფებს და წყალმოვარდნებს პირველ აუზში

ვერს იმ მდინარეთა კატალოგში ირიცხება, რომლებზეც ღვარცოფის ჩამოყალიბება მოსალოდნელია. მეტ-ნაკლები სიმძლავრის წყალმოვარდნა იქ თითქმის ყოველწლიურად შეიმჩნევა. მათი ხასიათი და სიმძლავრე უმთავრესად წვიმის სახით მოსულ წლების ინტენსივობასა და რაოდენობაზე დამოკიდებულია.

აღსანიშნავია 1960 წლის 4 ივლისის წყალმოვარდნა, რომელიც კატასტროფულში გადაიზარდა. უნდა შევნიშნოთ, რომ კატასტროფულში გამოიწვია არა მხოლოდ წყლის მაქსიმალური ხარჯის სიდიდემ, არამედ იმ წყალგამტარი გვირაბების ჩახერგვამ, რომლებიც აგებულია ვაკე-საბურთალოს შემადგენელი გზისათვის და ზოოპარკთან. შედეგად პირველი გვირაბის დასავლეთით წარმოიქმნა დაახლოებით 1200 მ სიგრძისა და 10-11 მ. სიღრმის წყალსაცავი. ამ გვირაბის გარღვევის შემდეგ წყალსაცავი ჩამოყალიბდა ზოოპარკთანაც. დაიტბორა ზოოპარკის ტერიტორიის დიდი ნაწილი, აგრეთვე სხვა მიმდებარე ადგილები. მატერიალური ზარალის საკმაოდ დიდი იყო, ზოოპარკის მრავალი ბინადარი ცხოველი კი დაიხრჩო. ამ წყალმოვარდნის კატასტროფულობა გამოიწვია პირველი გვირაბის გარღვევის შედეგად წარმოქმნილმა წყალმოვარდნის ტალღური ნაკადის წყლის ხარჯმა, რომელიც 450-500 მ³ წმ-ს უდრდა.

1960 წლის 4 ივლისის კატასტროფული წყალმოვარდნის შემდეგ თბილისის მიდამოებში ჩატარებული გახშირებული ჰიდრომეტრიული და მეტეოროლოგიური დაკვირვების მონაცემების ანალიზის შედეგად შეცნობილია და პრაქტიკოსებმა დასახეს აღნიშნულ ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული წყალმოვარდნების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები, მაგრამ მათგან პრაქტიკულად, არც ერთი არ განხორციელებულა. შესაბამისად შედეგამაც არ დააყოვნა - მდ. ვერეს აუზში საშინელი სტიქიური უბედურება დატრიალდა.

მდ.ვერეს (სიგრძე-45 კმ. აუზის ფართობი - 200 კმ²) აუზის ქვემო ნაწილი 2015 წლის 13-14 ივნისს სტიქიური უბედურების ცენტრი გახდა. კერძოდ, წყალშემკრებ აუზში 13 ივნისს, ღამით, რამდენიმე საათის განმავლობაში წვიმის სახით მოსულმა ძალიან ინტენსიურმა და დიდი რაოდენობის ნალექმა მდ.ვერეს წყლის ხარჯის მეტად სწრაფი მატება და მენყურსა-შიმი ტერიტორიების გააქტიურება გამოიწვია. შედეგად საკმაოდ დიდი ზომის მენყურა (წონა 15-16 მლნ. ტ. ფართობი - 32 ჰა) ჩამოწვა წყნეთი-ბეთანიისა და ახალდაბა-ბეთანიის გზებზე. მან შეაგუბა აბობოქრებული მდ.ვერე და წარმოქმნა წყალსაცავი. მალე, მენყურული მყარი ნატანის, წყალსაცავისა და მდ.ვერეს წყლების ერთობლივი მოქმედების შედეგად, ჩამოყალიბდა მეტად მძლავრი ტურბულენტური ღვარცოფი, რომელიც ძალიან დიდი სიჩქარით გაემართა მდ.ვერეს შესართავისკენ. ღვარცოფმა სწრაფად ჩახერგა ვაკე-საბურთალოს შემადგენელი გზაზე არსებული წყალგამტარი გვირაბი, წარმოქმნა ძალიან დიდი და ღრმა წყალსაცავი, რომელმაც ვრცელი ტერიტორიის დატბორვით სტიქიური უბედურება გამოიწვია. აღნიშნული გვირაბის გარღვევის შემდეგ ტურბულენტურმა ღვარცოფმა ასევე ჩახერგა ზოოპარკთან არსებული წყალგამტარი გვირაბიც. შედეგად დაიტბორა გვირაბებს შორის არსებული ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. დატბორილ ტერიტორიაზე დიდი უბედურება დატრიალდა.

თელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ 2015 წლის 13-14 ივნისს ჩამოყალიბებული ტურბულენტური ღვარცო-

ფის (ღვარცოფული წყალმოვარდნის) მიერ დატრიალებული სტიქიური უბედურების თავიდან აცილება მოცემულ პირობებში პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ადამიანთა მსხვერპლის რაოდენობის გარკვეულწილად შემცირება კი შესაძლებელი გახლდათ. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ მსგავსი ტურბულენტური ღვარცოფის ფორმირებამ, რაც სავსებით შესაძლებელია, ისევე დიდი უბედურება მოგვითანოს! მისგან ვერავითარი სიმინჯები და ხიდეები ვერ დავიცავნა.

მიგვაჩნია, რომ მდ.ვერეს აუზში ტურბულენტური ღვარცოფისა და მძლავრი წყალმოვარდნების წინააღმდეგ საბრძოლველად აუცილებელია ცნობილი ქართული მეცნიერის ირ.ხერხეულიძის მიერ შექმნილი ღვარცოფშემკვრელი რკინა-ბეტონის კონსტრუქციების გამოყენება. იგი საქართველოში საკმაოდ არის აპრობირებული - დამონტაჟებულია მდ.დურუჯის, მდ.თელავისხევის აუზებში. მას წარმატებით იყენებენ საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყანაში. აღნიშნული ნაგებობა აკავებს მდინარის მიერ მოზღვავებულ მსხვილ ნატანს, ხე-მცენარეებს, წყალს კი დაუბრკოლებლად ატარებს - მდ.ვერეს აუზში შერჩეულ ნებისმიერი სიმძლავრის ღვარცოფული წყალმოვარდნა სრულიად უვნებელი გახდება. აქვე გვინდა, შევნიშნოთ, რომ მდ.ვერეზე არსებული ყველა წყალგამტარი გვირაბი (მათი წყალგამტარუნარიანობა („450-500 მ³-წმ-ია) დაუბრკოლებლად გაატარებენ წყალმოვარდნის იმ მაქსიმალურ წყლის ხარჯსაც (415 მ³-წმ) კი, რომელიც ჩვენი გაანგარიშებით 1000 წელიწადში ერთხელ უნდა ჩამოყალიბდეს. სასურველია თსუ-ს მალღივი კორპუსის მიდამოებში საბავშვო ქალაქ „მზიურის“ პროექტით გათვალისწინებული არც ისე დიდი ზომის წყალსაცავის შექმნა, რომელიც მნიშვნელოვნად დაარეგულირებს მდ. ვერეს ჩამონადენს. მისი გამოყენება შეიძლება იაფი ელექტროენერჯის მისაღებადაც.

ზემოაღნიშნულთან ერთად საჭიროა არა მარტო მდ.ვერეს, არამედ თბილისის მიდამოების სხვა ნაკადების აუზებში არსებულ სამეურნეო თვალსაზრისით გამოუყენებელ ტერიტორიებზე დაირგოს სწრაფად მზარდი ხეები და შესაბამისად გაგზარდოს ტყით დაფარული ფართობები, რაც გამოიწვევს წყლის მაქსიმალური ხარჯების გარკვეულწილად შემცირებას და ჩამონადენის დარეგულირებას.

აღსანიშნავია, რომ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს - ჰიდროლოგებს, ღვარცოფმცოდნეებს, მეტეოროლოგებს, გეომორფოლოგებს, გეოლოგებს და სხვა მეცნიერებს შეუძლიათ დამოუკიდებლად, უფრო საფუძვლიანად შეისწავლონ წყალმოვარდნებსა და ღვარცოფებთან დაკავშირებული ყველა საკითხი. ამიტომ არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს უცხოელ სპეციალისტების მიწვევა. უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მთავრობის მიერ შექმნილი მეტად ხალხმრავალ კომისიაში წყალმოვარდნებისა და ღვარცოფების მცოდნე კვალიფიციური სპეციალისტების დიდი ნაკლებობაა. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია სასწრაფოდ მოიძიონ და კომისიაში შეიყვანონ ის სპეციალისტები, რომლებიც დიდი ხანია, ზემოაღნიშნულ საკითხებზე წარმატებით მუშაობენ.

დიმიტრი (ვაჟა) ძოჩიაშვილი,

ინჟინერ-ჰიდროლოგი, გეოგრაფულ მეცნიერებათა დოქტორი;

ოთარ ჭითანავა,

ინჟინერ-ჰიდროლოგი, ექსპარტ-კონსულტანტი

აკაკალ გულში

● ძალიან მივიჩნევს სპეკულაციური ფრაზა: - საბერძნეთმა ევროპელი გადამსდევლები დააზარალა!

უკაცრავად, მაგრამ რომელიმე პანსს, პიერს ან იშტვანს ვინმემ პკითხა ბერძენ პანანდოპულს ფული უნდა მივცეთო და მათ თანხმობა განაცხადეს? უმარტივესი, ვიმეორებ უმარტივესი ლოგიკით პანსი, პიერი და იშტვანი დააზარალეს იმით, ვინც კრედიტების გაცემაზე თანხმობა განაცხადა და ევროპული კორუფციის გათვალისწინებით, საკმაოდ მსხვერპლ თანხა ჩაიჯიბა.

ასე რომ პანსმა, პიერმა და იშტვანმა, მარგრეტთან, ჯეინთან და იზაბელთან ერთად, პანანდოპულს კი არ უნდა მოსთხოვონ პასუხი, არამედ თავიანთ ვილის, ეფენს, შანდორს, ჯულის, ინგებორგს და მარის იმით, ვინც ევროპელი გადამსდევლებისგან ნებართვის გარეშე გასცა 320 მილიარდი

● ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოსახლეობამ თავიანთ მთავრობებს რომ დაუყენონ მოთხოვნა: ჩვენს ფულს რატომ

აძლევიდა ასე უპრაგონოდო, აი მაშინ იქ-ნება მაგარი კონცერტი! მარი ლეპენის იმედი მაქვს!

● აქ რომ ბანკის ვალები აქვთ, ის ხალხი რომ გაიფიცონ და არ გადაიხადონ, რა მოხდება? მართლა მაინტერესებს..

● სოციალური ბიუჯეტი არ უნდა გაგზარდოს, თორემ ჩვენც საბერძნეთივით დაგვემართებაო, - ბრძანა პატივცემულმა შალვა რამიშვილმა.

● მომეცით ორი სულელური გადაცემა „იმედში“, პლუს მანამდე „ოცნებაში“ სამი წლის ნაჩალიჩები და არც მე მოვიტხოვ სო-

ციალური ბიუჯეტის გაზრდას.

● ერთსქესიანთა ქორწინების მოშორებ ვარ, ოღონდ პოლიტიკოსებში, რომ ალარ გამრავლდნენ!!!

● MEP კელის“ მხარეს ვერ ვიქნები

ნამდვილად და საერთოდ ეს დედაკაცი თვისი გაუპარსავი ΓΔΡ-ის შტაბის ფეხებით, რუსული გაზიფიკაციით და ყოფილი ნაცისტების ფულით, მთელს ევროპას რომ აშანტაჟებს და საბერძნეთის გერმანულ ბალნეოლოგიურ სანატორიუმად გადაკეთების გულისამრავლ ოცნებით, მთელი განათლებული და ღირსების მქონე ევროპელების ზიზღს იწვევს, ეს სრულიად უბუნებრივია.

მარტო ქართველი „ექსპერტ-რეზიდენტები“ უჭერენ მას მხარს, გეგონება რაიმე გაეგებათ ამ საქმეში!!!

ამოკრიბა

ბიბა ბაბრიძიძე

სამპროექტო რეკონსტრუქცია

კავშირებით, რაც განპირობებულია ქვეყნისადმი, თბილისის და ჩემი პროფესიისადმი პატივისცემით.

აღსანიშნავია, რომ მდინარე ვერეს ხეობაში ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე პროექტი შედგენილი იყო ვაკეზე გაშლილი ქალაქ დუბაის კლიმატური პირობების გაზიარებით, რაც მთავორიანი ადგილის და თბილისის კლიმატური პირობებისთვის სრულიად მიუღებელია. ამიტომაც მივიღეთ შედეგად ის, რაც მივიღეთ. ამგვარი ინფრასტრუქტურის ასაშენებლად გათვალისწინებული უნდა იქნას არა მხოლოდ ადგილმდებარეობის თავისებურება და შორიასლის ჩამავალი მდინარის დეპოზიტი (ხარჯი), არამედ ამინდი და ჭარბი ატმოსფერული ნალექების მოსალოდნელი ჩამოვინების ადგილებიც, ხოლო მდინარის ხეობაში ინფრასტრუქტურის ასაშენებლად გამოყენებული უნდა ყოფილიყო ღია ტიპის კალაპოტი (ოჩოფხვებზე შემდგარი გზებით და ესტაჟადით), რომლის გამტარუნარიანობა იქნებოდა არანაკლები 700-800 ლიტრი წამში და არა 470 ლიტრი წამში. მაგრამ ბევრად მეტ უსაფრთხოების გარანტიას მოგვცემდა მდინარის კალაპოტის გამტარუნარიანობის გაზრდა 800 ლიტრამდე წამში, ღია არხით და არა დახურული, „დაპატიმრებული“ წყალგამტარი გვირაბებით.

ამვე ჩამოვინებით იმ უხანაზს, სადაც მოსალოდნელია საშუალო გეოლოგიური პროცესების განვითარება ასლომ მოგვაპაღვი:

1. მამადავითის ფერდობი;
2. მდინარე ვერეს ხეობა;
3. „პანორამა-თბილისის“ სამშენებლო მოედანი სოლოლაკის მიმდებარე ტერიტორიებით;
4. თემის მე-4 მიკრორაიონი (საავტომობილო გზის გასწვრივ);
5. ვაშლიჯვრის ტერიტორია - „მათე-მოტორის“ მიმდებარე;
6. ვაკის ტერიტორია;
7. ნუცუბიძის პლატო;
8. ვარაზის ხევი, ნინო ჟვანიას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიები - კვეციანის ქუჩის ზემო გაგრძელებაზე;
9. აბანოთუბანი;
10. მდინარე გლდანულას ხევი;

ჩვენს მიერ აღნიშნული ფერდობები ფრიად ყურადსაღებია, რადგან მათი ამგვარი ქანების დახრილობა და ფერდის დახრილობა თანხვედრილია (კატაკლინური) და ზედა ფენის ხელის ხლება და ფერდობის ძირის მოჭრა იწვევს მენყურული პროცესების გააქტიურებას, რაც სავალალო შედეგით მთავრდება. თუ გავითვალისწინებთ მშენებლობის დღევანდელ მასშტაბებსა და ტემპს, მშენებლობის ნებართვების კომპეტენტური საინჟინერო-გეოლოგიური დასკვნების გარეშე გაცემას, რასაც დღეს აკეთებენ ქალაქის მერიის შესაბამისი სამსახურები, შედეგი სავალალო იქნება. ჩემი აზრით, ასევე მიუღებელია ზოგიერთი ექსპერტის მოსაზრება მდინარე ვერეს ხეობაში „მანქანების“ აშენების თაობაზე, ვინაიდან აღნიშნული ხეობა არის ჭალა, რომელიც მდინარეს ეკუთვნის და არა მერიას - სამშენებლო მოედნებად! და საერთოდ, ქვეყანა რომელიც არ ავა-სებს გეოლოგების როლს სამშენებლო პროცესებში, ყოველთვის მარტოსულად აღმოჩნდება გავრცელებული სტიქიის მომაკვდი-ნებელი საფრთხის პირისპირ.

ასევე კარგი იქნება, თუ ქალაქის მესვეურები ახალი თბილისის სამომავლო მშენებლობებს დაგვეგმავენ აღმოსავლეთის მიმართული, რომელიც შედარებით მშვიდი სამშენებლო რელიეფით ხასიათდება. ამავე დროს განიტვირთება და ისტორიულ სახეს ნაწილობრივ მაინც შეინარჩუნებს ძველი თბილისი.

უნდა აღინიშნოს, რომ იგივე მდგომარეობაშია ქალაქები ბათუმი, ფოთი და ანაკლია. ასევე მოსალოდნელია სტიქიური პროცესების გააქტიურება იმ ზონებში, სადაც შენდება კაშხლები, საიდანაც განსაკუთრებით გამოვყოფთ სვანეთში ნესკრაპსის სამშენებლო უბანს, რომლის პროექტის განხორციელებას აპირებენ კორეელები, ხუდონისა და დარიალის ხეობებს, სადაც ბუნებამ უკვე ორჯერ გაგვაფრთხილა და თანაც საკმაოდ მკაცრად. არსებობს უცხოელი ექსპერტების დასკვნა, რომელიც ნადირობასაც კი კრძალავს დარიალის ხეობაში, რადგან თოფის გასროლის ექომ შეიძლება აქ საკმაოდ ძლიერი ზვავი და მენყური გამოიწვიოს! წარმოიდგინეთ, როგორი ხმაური და ვიბრაცია მოჰყვება აქ მძიმე ტექნიკის მუშაობას...

ამავე დროს, ვთხოვ არაინჟინერ-გეოლოგებს, არაპროფესიონალებს, თავი შეიკავონ 2015 წელს 13 ივნისს მომხდარი ფაქტების კომენტარებისგან, რომლებიც აკეთებენ არაფრისმომცემ განცხადებებს და შეფასებებს (ისიც დიდი დაგვიანებით). ეს განსაკუთრებით ეხებათ არაპროფესიონალებს, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტს არიან მიმსხდარნი და მოვლენების არა-ზუსტი შეფასებებით ქვეყნის მესვეურები და საზოგადოება შეშვავთ შეცდომაში.

სავარაუდოა, რომ საქმე გვაქვს ჯერ კიდევ ნაციონალთა მიერ ჩვენს რეალობაში ნაღმად ჩადებულ ეკოდივერსიასთან, რომელიც ხორციელდება საშოვარს გადაგებული ბიზნესსტრუქტურების მეშვეობით, განსაკუთრებით მშენებლობის კუთხით, რასაც სპეცსამსახურებმა უნდა მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება.

იმედია, ხელისუფლება გაითვალისწინებს ყოველივეს და გულთან მიიტანს ამ წერილში მოყვანილ არგუმენტებს, რადგან იგი შედგენილია გულისტკივილით და არა ნიშნისმოგებით.

და ბოლოს, შპს „საინჟინერო“ აქვს ყველა რესურსი, მატერი-ალურ-ტექნიკური და ინტელექტუალური ბაზა, რათა მიიღოს მონაწილეობა 2015 წ. 13 ივნისს მომხდარი სტიქიური უბედურებების სალიკვიდაციო ღონისძიებებში, ასევე იგი მზად არის ახალი უსაფრთხო გზის მშენებლობისათვის საჭირო საინჟინერო-გეოლოგიური კვლევების ჩასატარებლად.

ნუგზარ გოგუა,

შპს „საინჟინერო“ დირექტორი, გრუნტების მექანიკისა და გეოტექნიკური ინჟინერიის საქართველოს საზოგადოების დამფუძნებელი და წევრი, ევროპის მეცნიერ-გეოლოგთა და ინჟინერ-გეოლოგთა ასოციაციის წევრი

საბერძნეთის უფრო მეტია, ვიდრე სასაბერძნეთო

კრიზისი საბერძნეთში და საქართველოს ეკონომიკა

**საბერძნეთს ფულადი
გზავნილების ოდენობის
მიხედვით საქართველოში
მეორე ადგილი უკავია**

საბერძნეთის კრიზისი ეწინააღმდეგება სერიოზული შედეგები საქართველოს ეკონომიკისათვის. ამის შესახებ საუბრობენ როგორც ქართველი ექსპერტები, ისე პოლიტიკოსები. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში საბერძნეთს ეკავა სტაბილურად მეორე ადგილი ფულადი გზავნილების ოდენობის მიხედვით. მაგალითად, 2014 წელს მათი საერთო თანხა 204 მილიონ დოლარს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ ამ საზღვარს ბერძენი ადგილი რუსეთს უკავია.

ამავე დროს, უცნობია საქართველოს მოქალაქეთა ზუსტი ოდენობა, რომლებიც საბერძნეთში გამოემუშავებიან იმყოფებიან, ვინაიდან მათი ნაწილი იქ არალეგალურად ცხოვრობს. სხვადასხვა დაანგარიშებით, მა-



თი ოდენობა დაახლოებით 150 ათასი კაცია. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ უმთავრესად ისინი არიან საშუალო ასაკის ქალები, რომლებიც ჩადიან საბერძნეთში საქართველოში მყოფი თავიანთი ოჯახების საფინანსო უზრუნველყოფის მიზნით.

ამავე დროს, როგორც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვიციანიკაშვილი გვაცნობებს, იანვარ-მაისში საბერძნეთიდან საქართველოში შემოსული ფულადი გზავნილები შარშანდელ ხუთთვიან ანალოგიურ პერიოდთან შედარებით შემცირდა დაახლოებით 18 პროცენტით.

საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ინფორმაციით, საშუალოდ მუშაკები საქართველოდან საბერძნეთის სამუშაოთა მიმცემებისაგან ყოველთვიურად 700-დან 900 ევროს ღებულობენ. მიუხედავად ამისა, როგორც ქართველი ემიგრანტები აცხადებენ, უკანასკნელ პერიოდში მათი ხელფასები შეამცირეს დაახლოებით 200 ევროთი. მართალია, ბევრი მათგანი, ვისი შემოსავალიც შემცირდა, მაინც უპირატესობას ანიჭებს მუშაობას საბერძნეთში ნაკლები ანაზღაურებით. საქართველოში კი ძირითადად ბრუნდებიან ისინი, ვინც მთლიანად დაკარგა სამუშაო და ვერ მოქმენდა ახალი სამსახური.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის გიორგი კვიციანიკაშვილის სიტყვებით, ამ ეტაპზე მას „ყველაზე მეტად აღელვებს“ ის, შეინარჩუნებენ თუ არა საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც საბერძნეთში მუშაობენ, სამუშაო ადგილებს.

აღსანიშნავია, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თანახმად, უცხოეთში მომუშავე ბევრი ქართველი ქალი ინახავს რამდენიმე ოჯახს თავის სამშობლოში.

როგორც ათენის მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ოფისში ამტკიცებენ, უკანასკნელი წლების განმავლობაში ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებისა და უმუშევრობის ზრდის გამო, ბევრმა ბერძნულმა ოჯახმა დაკარგა შესაძლებლობა გამოიყენოს მწვებისა და ძიების მომსახურება – ამ

საქმიანობას უმთავრესად ეწეოდნენ მუშაკი ქალები საქართველოდან. მაგალითად, ჯერ კიდევ 2013 წელს ორგანიზაცია დაეხმარა დაახლოებით 10 ათას მიგრანტს დაბრუნებულიყო სამშობლოში – 2010 წელს ანალოგიური თხოვნით მათ მიმართა სულ რაღაც 400 კაცმა.

რა პაპით?

საბერძნეთის პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი, ახალი პოლიტიკური ცენტრის დამფუძნებელი ზურაბ ჯაფარიძე მიიჩნევს, რომ საბერძნეთიდან ფულადი შემოსავლების შემცირება ნეგატიურად აისახება ქართული ვალუტის სტაბილურობაზე. უფრო მეტიც, საბერძნეთის რეფერენდუმის მონაცემებით, პარლამენტარის სიტყვებით, „გარდაუვალია“ ეკონომიკური კრიზისის გაღრმავება საბერძნეთში, რაც, როგორც იგი ამბობს, გამოიწვევს ქვეყანაში უმუშევრობის ზრდას, მათ შორის, საბერძნეთში მომუშავე საქართველოს მოქალაქეთა შორისაც.

ჯაფარიძეს მიაჩნია, რომ საბერძნეთში უმუშევრად დარჩენილი საქართველოს მოქალაქეების ნაწილი, ალბათ, დაბრუნდება სამშობლოში, რაც, როგორც მას მიაჩნია, გაზრდის კიდევ უფრო მეტად საქართველოში ისედაც მაღალ უმუშევრობის დონეს.

შესაბამისად, ამბობს პარლამენტარი, „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია“, რომ საქართველოს ხელისუფლება „მომზადებული“ შეხვედეს მომავალ ეკონომიკურ სირთულეებს. ამ შემთხვევაში, ჯაფარიძის თანახმად, ეს ნიშნავს „სწორი ეკონომიკური პოლიტიკის“ შემუშავებას ისეთი ნაბიჯების გადადგმით საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღების გზაზე, რომ მიზნობრივად იქნეს დაყვანილი საბერძნეთის კრიზისის ნეგატიური ეფექტი.

„ამ ეტაპზე აუცილებელია მაქსიმალურად შევამციროთ სამთავრობო ხარჯები, შევამციროთ გადასახადები და ამით გავხადოთ საქართველო მიმზიდველი ინვესტორებისთვის. კაპიტალდაბანდებანი უცხოეთიდან არის ერთადერთი და ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო საქართველოს ეკონომიკის ზრდისთვის. ყველა ეს ზომა ვერ მოიტანს სასწრაფო ეფექტს, მაგრამ ეს ყოველივე აუცილებელია იმისთვის, რომ საქართველო გახდეს წარმატებული, განვითარებული ევროპის ქვეყანა არა 100, არამედ 10 წლის შემდეგ. სამწუხაროდ, მე ვერ ვხედავ საქართველოს მთავრობის მხრიდან ვერ ვხედავ ადეკვატურ ნაბიჯებს საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის, განაცხადა ჯაფარიძემ „ამერიკის ხმის“ რუსული სამსახურისთვის მიცემულ ინტერვიუში.

ზურაბ ჯაფარიძის სიტყვებით, ასევე მეტად მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობა შეეცადოს მაქსიმალურად გაააქტიუროს ყველა არსი და დაიწყოს მოლაპარაკება საბერძნეთის მთავრობასთან საქართველოს მოქალაქეთა იმ დანაშოგების დაბრუნების შესახებ, რომლებსაც ისინი საბერძნეთის ბანკში ინახავენ. დეპუტატის სიტყვებით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლებას არ გააჩნია რეალური ბერკეტები ალექსის ციპრასის მთავრობაზე ზემოქმედებისათვის, მაინც, როგორც იგი ამტკიცებს, არესებობს მცირე, მაგრამ მაინც რაღაც ალბათობა იმისა, რომ „არაფორმალური მოლაპარაკების“ გზით შესაძლებელი გახდება დაუბრუნონ ქართველ მიგრანტებს მათი ფული.

შეგახსენებთ, რომ მას შემდეგ, რაც ევროკავშირის ქვეყნების ფინანსთა მინისტრებმა უარი განაცხადეს გაუხანგრძლიონ საბერძნეთის საფინანსო დახმარების პროგრამა, ქვეყანა აღმოჩნდა დეფოლტის მდგომარეობაში. 5 ივლისს საბერძნეთში გაიმართა რეფერენდუმი, რომლის შედეგების მიხედვითაც მის მონაწილეთა 61 პროცენტზე მეტმა ხმა მისცა ეკონომიკის იმ ზომების წინააღმდეგ, რომელთა განხორციელებასაც ევროპული კრედიტორები მოითხოვენ. საბერძნეთში 29 ივნისიდან ბანკები არ მუშაობს. 7 ივლისს საბერძნეთი წარუდგენს კრედიტორებს თავისი სავალლო მომსახურების მონესრიგების ახალ წინადადებას. ეს წინადადებაები განიხილება იმავე დღეს ბრიუსელში ევროკავშირის ექსტრემალურ სამიტზე.



დედაიძის ზურბზე



ქინიში „აშ-შაბაბის“ ბოვიკაზმა განახორციელეს შეტაკების სერიის არამოსტოვება, არის ათობით დაჯიქული და დახარკებული

უკანასკნელი 5 დღის განმავლობაში სომალელმა ბოვიკებმა 2 გამოხატეს განახორციელეს კენის მანდერას ოლქში. პირველ შემთხვევაში ისინი თავს დაესხნენ მწყემსებს, ახლა შეტაკების მსხვერპლი გახდნენ ადამიანები, რომლებიც კარიერზე მუშაობდნენ. წითელმა ჯვარმა განახორციელა ყველაზე მძიმე დაჭრილების ევაკუაცია ნაირობიში, პოლიცია აძლიერებს პატრულს საზღვრისპირა ზონაში.

საბერძნეთის პრემიერი ევროპულ ლიდერებს ახალი წინადადებით მიმართავს

„ბიბისის“ ცნობით, ათენი გეგმავს ვალის 30%-ის ჩამოჭრა მოითხოვოს. თუმცა, გერმანიის მთავრობაში აცხადებენ, რომ საბერძნეთისთვის ვალის უპირობო ჩამონერვა ევროს ვალუტას სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის. პარალელურად, საფრანგეთისა და გერმანიის ლიდერები აცხადებენ, რომ საბერძნეთის მთავრობასთან მოლაპარაკებების კარი კვლავ ღიაა.



ანგელა მერკელისა და ფრანსუა ოლანდის თქმით, ათენი დღევანდელ სამიტზე ისეთი წინადადებით უნდა წარდგეს, ყურადღების მიქცევა რომ ღირდეს. დათანხმდებიან თუ არა ევროზონის ლიდერები ათენის მოთხოვნებს, დღის ბოლოს გახდება ცნობილი.

ევროზონის სამიტში მონაწილეობას საბერძნეთის ახალი ფინანსთა მინისტრი ევკლიდ ცაკალოტოსიც მიიღებს.

საბერძნეთი დეფოლტის საფრთხის წინაშეა, ვინაიდან მას 331 მილიარდი დოლარის ოდენობის ვალი მართებს საერთაშორისო კრედიტორებთან. ბანკები ქვეყნის მასშტაბით ხუთშაბათამდე კვლავ დაკეტილი რჩება.

მანუელ ვალსი - საუბრებით ყველაფერს აკეთებს, რომ საბერძნეთი ევროზონის წევრი გახდეს

ამის შესახებ „ბიბისის“ ცნობით, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა მანუელ ვალსმა განაცხადა. მისივე თქმით, ოფიციალურ პარიზს იმედი აქვს, რომ ევროკავშირი ათენთან შეთანხმების მიღწევას შეძლებს.

მსგავსი განცხადება გააკეთა ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟან-კლოდ იუნკერმაც. მისი თქმით, საბერძნეთი უნდა დარჩეს ევროზონისა და ევროკავშირში, მისი ამ გაერთიანებიდან გასვლის თავიდან არიდება კი ნებისმიერ ფასად უნდა მოხდეს.

ნატოს განეკუთვნა მდივანი ამჟამინახს, რომ რუსეთმა სეპარატისტებს მიჰყვანა შეიარაღებისათვის მათი ერთი პარტიული გაღასა

ინს სტოლტენბერგის სიტყვებით, დაზვერვები მრავალი ქვეყნიდან – ნატოს წევრებიდან, აგრეთვე ღია წყაროები ადასტურებენ, რომ რუსეთის ფედერაცია ახორციელებს სეპარატისტების მხარდაჭერას, აწვდის მათ მძიმე და თანამედროვე სამხედრო მოწყობილობას, კერძოდ, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის კომპლექსებს, არტილერიასა და ტანკებს, აგრეთვე ახორციელებს ჯარისკაცების მომზადებას.

დუხანბეში გამგეობა გადაარჩინეს მკაცრად შეიარაღებული ღია, რომელმაც დაახლოებით 1000 ადამიანი დაიღუპა

30 წლის ქალის მიმართ, რომლის სახელიც არ სახელდება, აღმრულია სისხლის სამართლის საქმე მკვლელობის მუხლით 2 ორი არასრულწლოვანი პიროვნების მიმართ. მისი მაქსიმალური სასჯელია სიკვდილით დასჯა, რაზეც რესპუბლიკაში მორატორიუმი მოქმედებს. ამის გამო სასჯელის უმაღლესი ზომა იცვლება სამუდამო პატიმრობით.



იაპონიაში 112 წლის ასაკში გარდაიცვალა უხუცესი მამაკაცი და დაიღუპა

საკარი მომოსი აწუხებდა თირკმლის ქრონიკული უკმარისობა, იგი ტოკიოს ერთ-ერთ სამედიცინო დაწესებულებაში გარდაიცვალა. შარშან აგვისტოში გინესის რეკორდების წიგნის ექსპერტებმა ოფიციალურად აღიარეს იგი პლანეტაზე ყველაზე ხანდაზმულ მამაკაცად. როგორც იაპონელი აღიარებდა, არანაირი საიდუმლოება ხანდაზმულობისა მისთვის ცნობილი არ ყოფილა.

მიზრაცია

მიღიან და უკანას ბრუნდებიან, ოლონდ – ნაკლებად

იმის მიუხედავად, რომ საქართველოს მოსახლეობის შარ- შანდელი საყოველთაო აღწერის წინასწარი მონაცემები უკვე ცნობილია, ბოლო, 2002 წლის აღწერისგან გასული დროის მან- ძილზე, ქვეყნიდან ემიგრირებულია ზუსტი რიცხოვნობა მინც გარკვეულ კითხვებს ბადებს. საქმე ის არის, რომ სხვადასხვა წყაროს მონაცემები ამ მხრივ ერთმანეთისგან განსხვავდება, ზოგჯერ საკმაოდ მნიშვნელოვნადაც. მაგალითად, ბოლო აღ- წერით მათი რიცხვი დაახლოებით 1,3 მილიონი კაცია (ანუ 12 წელიწადში 14,7 პროცენტით შემცირებული), მაგრამ, ამავე დროს, არაოფიციალური მონაცემებით, მარტო რუსეთში სა- ქართველოს თითქმის მილიონი მოქალა- ქე ცხოვრობს, თუმცა, ბევრი მათგანი ქვეყნიდან დიდი ხნის წასულია. აღსანიშ- ნავია ისიც, რომ საქართველოს დიასპო- რის საკითხებში სამინისტროს ასევე არაოფიციალური მონაცემებით, დღეს- დღეობით საზღვარგარეთის 43 ქვეყანა- ში 1,7 მილიონი ემიგრანტი ჩვენი თანამე- მამულე ცხოვრობს.

თუ ბოლო მონაცემებზე ვილაპარა- კებთ, სტატისტიკის ეროვნული სამ- სახურის მონაცემებით, უკანასკნელ დროს, კერძოდ კი, 2000 წლიდან მო- ყოვლებული, საქართველოს ფარგლებს გარეთ გაცილებით მეტი მოქალაქე გა- დის, ვიდრე შემდგომ უკან ბრუნდება. აღსანიშნავია ისიც, რომ 2004-05 და 2009-11 წლებში მოსახლეობის მიგრა- ციას დადებითი ტენდენცია ჰქონდა – უკან დაბრუნებულია მასა გამსე- ლელს ჭარბობდა.

21-ე საუკუნის დამდეგიდან, მიგრანტთა ყველაზე დიდი ნა- კადი – 35 ათასი კაცი – ქვეყნიდან 2000 წელს გავიდა, ჩვენი მოქალაქეების ყველაზე დიდი შემოდინება კი 2005 წელს იყო, როცა სამშობლოში 76 ათასი კაცი დაბრუნდა. ბოლო წლე- ბის მიგრაციის დინამიკა კი ასეთია: 2012 წელს საქართველოს მოსახლეობის გასვლამ უკან დაბრუნებას 21,5 კაცით გადაა- ჭარბა, 2013 წელს უარყოფითი საღლო შემცირდა და 2,6 კა- ცი შეადგინა, შარშან კი მან ისევ მოიმატა და 6,5 კაცი იყო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველაზე მეტი საქართვე- ლის მოქალაქე რუსეთში ცხოვრობს, სადაც, დიასპორის სა- კითხებში სამინისტროს ასევე არაოფიციალური მონაცემე- ბით, დაახლოებით 800 ათასი ჩვენი თანამემამულე იმყოფება. მათ შორის, 286 ათას კაცს იქაური მოქალაქეობა აქვს მი- ლებული. საბერძნეთში 250 ათასი საქართველოს მოქალა- ქე ცხოვრობს, რომელთა შორის თითქმის ნახევარი (40 პრო- ცენტით) – ეთნიკური ბერძენია. უკრაინაში საქართველოს მო- ქალაქეთა რიცხოვნობა 150 ათასი კაცია, თურქეთში – 100 ათასი კაცი, ამერიკის შეერთებულ შტატებში – 80 ათასი კა- ცი, გერმანიაში – 25 ათასი კაცი, საფრანგეთში – 20 ათა- სი კაცი, ქართველთა პატარა-პატარა კოლონიები მსოფლიოს კიდევ 30-ზე მეტ ქვეყანაშია.



მართალია, საქართველოდან ემიგრირებული მოსახლე- ობის ზუსტი რიცხოვნობის დადგენა, მრავალი მიზეზის გამო, ვერ ხერხდება და საქსტატის შესაბამისი სტრუქტურის, დე- მოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის, მიგრაციის ცენტრის, დიასპორის საკითხებში სამინისტროსა და ზოგი- ერთი სხვა ორგანიზაციის თუ უწყების მონაცემები მეტად განსხვავებულია, მინც შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლებ- ში ვითარება მეტ-ნაკლებად დასტაბილურდა.

ერთში კი, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ყველა ერთ აზრზეა – მთავარი მიზეზი, რის გამოც საქართველო- დან, სადაც ამჟამად მხოლოდ 3,7 მილი- ონი კაცი ცხოვრობს, დაახლოებით ყო- ველი მესამე მოქალაქე საზღვარგარეთაა გახიზნული, რაც ეკონომიკური ხასიათის პრობლემებითაა გამოწვეული, თუმცა კი საკმაოდ დიდი ოდენობით ხალხი ქვეყნი- დან ამა თუ იმ პოლიტიკური მიზეზით წა- ვიდა, ზოგმაც, უბრალოდ, ცხოვრება გა- ცილებით კომფორტულ, შიდა კონფლიქ- ტებით დაუშინებელ გარემოში არჩია სამშობლოში ყოფნას.

აღსანიშნავია, ისიც, რომ ბოლო დროს ქვეყანაში საკმაოდ დიდი ხნის წინათ წა- სულთა უკან დაბრუნების რიცხოვნობის ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზე- ზი, მიგრაციის ქვეყნებში ფინანსურ-ეკო- ნომიკური კრიზისია, რომლის უარყოფი- თი შედეგები მიგრანტებზე, განსაკუთრე- ბით შრომით, მით უმეტეს არაღლეგალურ- ზე, ყველაზე მეტად და უფრო მტკიცეუ- ლად აისახება. ამას ციფრებიც თვალნათლივ მეტყველებს: საქართველოდან მიგრანტთა შორის 80 პროცენტით შრო- მითია, მათ შორის კი ორ მესამედზე მეტი – არაღლეგალია.

ბუნებრივია, რომ მოსახლეობის მიგრაციის საკითხი სა- ქართველოს მთავრობის გამუდმებული ყურადღების ცენ- ტრშია, რასაც ცოტა ხნის წინათ ამ უმწვავესი საკითხისადმი უაღრესად საგულისხმო საერთაშორისო ფორუმი მიეძღ- ვნა, რომელშიც მონაწილეობა საზღვარგარეთ მცხოვრებ- მა მრავალმა ჩვენმა თანამემამულემ მიიღო მონაწილეობა.

– საქართველოში 3,7 მილიონი მოქალაქე დავრჩით, რაც კატასტროფის ტოლფასია. ვეძებთ იმ მთავარ მოტივაცი- ას, რომელმაც ქვეყანაში ჩვენი თანამოქალაქეების დაბრუ- ნება უნდა უზრუნველყოს, – განაცხადა საკითხთან დაკავ- შირებით საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლა- რიბაშვილმა.

მთავარი მოტივაცია კი, როგორც ჩანს, ისევ ეკონომიკუ- რი დაგვიტარება, ცხოვრების დონის ზრდა, უმუშევრობის დაძლევა, სიღარიბესთან ბრძოლა, სოციალური ყოფის ამაღ- ლება და კიდევ მრავალი სხვა პრობლემის გადაწყვეტა, რა- საც დღენიდაც დაუღალავი შრომა, შემოქმედებითი და, რაც მთავარია, გონივრული პოლიტიკის გატარება სჭირდება.

ოთარ ტურაბალიძე

ალიან-ჩალიანი

სტიქიით დაზარალებულთათვის კომაენსაშივის გასაბა დაიწყო!

თბილისის მერის დავით ნარმანიას ინფორმაციით, სტიქიით დაზარალებულთათვის კომპენსაციების გაცე- მაზე განცხადებების მიღება უკვე დაწყებულია.

როგორც ნარმანიამ ჟურნალისტებს განუცხადა, შე- საბამისი თანხები უკვე აკუმულირებულია და აღნიშნუ- ლი თანხების გადატანა ერთიან ანგარიშზე მოხდება, სა- იდანაც თანხა გამჭვირვალედ დაიხარჯება.

იგი ასევე გამოხემაურა სვანიძის ქუჩის მცხოვრების ჟურნალ ნიკოლაურის მიერ გავრცელებულ ინფორმაცი- ას იმის თაობაზე, თითქოს მას ბინა მხოლოდ ერთი კვი- რით უქირავეს და აღნიშნა, რომ ასეთი რამ წარმოუდ- გენელია.

პრინციპული კულტურის ჯიშთა გამოცდა აპროლოგის

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნე- ობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთზე სორბლის, ქერის, შვრიის, ჭვავის, სიმინდის, ბოსტნეულ-ბალჩულის, კარ- ტოფილის, პარკოსნების და ტექნიკური კულტურების ჯიშთა გამოცდა მიმდინარეობს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, ჯიშთა გამოცდის მთავარი მიზანი საქართველოს სხვა- დასხვა აგროკლიმატურ ზონებში, კონკრეტული რეგი- ონისთვის ყველაზე კარგად ადაპტირებული და მავნე- ბელ დაავადებათა მიმართ გამძლე მალაღობრდუქტი- ული ჯიშების შერჩევა და გავრცელებაა.

საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთზე ნათესების მო- ნიტორინგი სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგი- ლემ იური ნოზაძემ, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორმა ლევან უჯმაჯურაძემ, ამბროლაურის მერმა რატი ნამგალაძემ, დარგის სპეციალისტებთან და მეცნიერებთან ერთად განახორციელეს.

საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთზე ერთნაირი კულტურების ჯიშების სელექციური გამოცდა წარმა- ტებით მიმდინარეობს. გამოიკვება ამბროლაურის რა- იონისთვის კარგად ადაპტირებული ჯიშები, რომლებიც საკმაოდ მაღალი პროდუქტიულობით ხასიათდება.



ბორჯომში სანიტარიული ჭრები მიმდინარეობს

სანიტარიული ჭრების შედეგად მოჭრილი ხის მერ- ქანი ლიკანში „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის“ სამსახურის ტერიტორიაზე დასაწყობდა.

როგორც მუნიციპალიტეტში აცხადებენ, ამ ეტაპზე მოჭრილი ხეების გაქირავების პროცესი მიმდინარეობს.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებლის დიმიტრი ყიფიანის განცხადებით, აღნიშნულ ტერიტორიაზე პა- რალელურად ქერქი იწვევა და იმარსება, რათა მავნე მწერების გავრცელება არ მოხდეს.

მუნიციპალიტეტის ინფორმაციით, ულათოს ტერიტორი- აზე სანიტარიული ჭრები მასის თევზი დაიწყო. ეს მას შემ- დევ გახდა საჭირო, რაც მუცხვადება ქერქიჭამიამ წინვოვან- ი კორომები მნიშვნელოვნად დაზიანა. მუნიციპალიტეტის გადამწყვეტილებით, მოჭრილი და დასაწყობებული საშუმე მერქანი 400 ოჯახს უსასყიდლოდ გადაეცემა.

ქუთაისში სიჩქარის მარეგულირებელი კუნძულების მოწყობა დაიწყო

ქუთაისში სიჩქარის მარეგულირებელი კუნძულების მოწყობა დაიწყო. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ქუთა- ისის მერიიდან აცნობეს, პროექტს რეგიონალური გან- ვითარების ფონდი აფინანსებს. კუნძულების მშენებლო- ბა ქუთაისის მერმა შოთა მურულუაძემ დაათვალაიერა.

მათივე ინფორმაციით, ქუთაისში 10 ადგილას ეწყობა 24 სიჩქარის მარეგულირებელი კუნძული. საერთო ჯამ- ში 2472 კვ.მ. ფართობი. აღნიშნული პროექტი ხელს უწყობს ავტომანქანების უსაფრთხო გადაადგილებას და ნაწილობრივ არის სიჩქარის შემზღუდველი საშუალე- ბა. პროექტში დატულია ყველა არსებული სტანდარტი.

ინტერპრესი

განსჯა

ღენი თუ გაქვირდა, მთავრობა სუბსიდირებაზე ჩაფიქრდება

რამდენიმე დღეში ელექტროენერგი- ის ტარიფთან დაკავშირებით სემეკის ვერდიქტი გახდება ცნობილი. ამ შემთხ- ვევაში კომისია მარტოდენ თბოსადგუ- რების ტარიფს დაადგენს, მაგრამ ელექ- ტროენერგიის წარმოებაში თბოსადგუ- რების წილი იზრდება. ასე რომ, მათი ტა- რიფის შესაძლო გაზრდა, სავარაუდოდ, საბოლოო ტარიფზეც აისახება. „საქარ- თველოში ბოლო წლებში ელექტროე- ნერგიის მოხმარება იზრდება და თბო- სადგურების წილიც თანდათან მატუ- ლობს. დენის ტარიფის გაზრდის შემთხ- ვევაში სუბსიდირების შესახებ მთავრობა ერთობლივად იმსჯელებს“, – განაცხა- და ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ იმ კითხვის საპასუხოდ, რომლის თანახ- მადაც თბოელექტროსადგურებისთვის ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდის შემთხვევაში მოხდება თუ არა ბიუჯე- ტიდან სუბსიდირება.

„ტარიფს რაც შეეხება, თქვენ იცით, რომ თბოელექტროსადგურებს აქვთ განაცხადი გაკეთებული. ამ მიმართუ- ლებით სემეკი მუშაობს. მე ადრეც გა- ვაკეთე განაცხადები იმასთან დაკავში- რებით, რომ ლარის გაუფასურებამ ძალიან დიდი დარტყმა მოგვაცენა, ენერგეტიკაში არსებულ კომპანიებს სერიოზული პრობლემები შეუქმნა. ვნახოთ, დაველოდოთ სემეკის გადაწყ- ვეტილებას, ვიცე, რომ მიმდინარეობს

დათვლა. ამას გარკვეული დრო სჭირ- დება და, ალბათ, უახლოეს მომავალ- ში ცნობილი იქნება“, – განაცხადა კა- ლაძემ.

იქვე კახა კალაძემ დაადასტურა, რომ მთავრობა ელექტროტარიფის თემაზე იმსჯელებს. „იმ შემთხვევაში, თუ ტა- რიფის დათვლის შედეგად გარდაუვა- ლი იქნება ტარიფის გაზრდა, მაშინ მთავრობა შეიკრიბება. ეს მარტო ენერ- გეტიკის მინისტრის გადაწყვეტილება ვერ იქნება და არც უნდა იყოს“, – გა- ნაცხადა კალაძემ.

შეიცვლება თუ არა თბოელექტრო- სადგურებისთვის ელექტროენერგიის ტარიფი, 7 ივლისს გახდება ცნობილი. „საქართველოს საერთაშორისო ენერ- გეტიკული კორპორაციისთვის“, შპს „მტკვარი ენერგეტიკისთვის“ და შპს „ჯიფაურისთვის“ ტარიფის შესახებ გადაწყვეტილებას საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია 7 ივლისის სხდომაზე მიიღებს.

როგორც სემეკში აცხადებენ, კომი- სიას გადაწყვეტილების მისაღებად 150- დღიანი ვადა აქვს, თბოელექტროსად- გურების შემთხვევაში, ბოლო ვადა სექ- ტემბრის დასაწყისი იყო, თუმცა, დე- პარტამენტმა ამ საკითხებზე მუშაობა დროზე ადრე დაასრულა და დასკვნას 7 ივლისს წარმოადგენს.

თბოელექტროსადგურებმა ტარიფის გადახედვის თხოვნით სემეკს მას შემდეგ მიმართეს, რაც ეროვნული ვალუტა დო- ლართან მიმართებაში მკვეთრად დაეცა. როგორც ენერგეტიკის მინისტრმა განაცხადა, განსაკუთრებით პრობლემები შეექმნა თბოელექტროსადგურებს, რად- გან ისინი ძირითადად, ბუნებრივ აირზე მუშაობენ, რომელიც აზერბაიჯანიდან ან რუსეთიდან შემოდის, შესაბამისად, ანგარიშსწორება ხდება დოლარში, მო- სახლეობის მხრიდან კი ანაზღაურება ლარით ხორციელდება.

ამავე დროს ენერგეტიკის სამინისტ- რო აცხადებს, რომ ხელისუფლება აქტი- ურად მუშაობს, რათა ენერგორესურსი მაქსიმალურად იქნეს ათვისებული.

„ენერგეტიკული მიმართულება ჩვენი ხელისუფლებისთვის ერთ-ერთი პრი- ორიტეტია. მინდა, დაგარწმუნოთ, რომ თითოეული ინვესტირებისთვის, ვინც სა- ქართველოში შემოდის, ჩვენი გული და კარი ღიაა და მათ მიერ თითოეული ჩა- დებული ინვესტიცია იქნება მაქსიმალ- ლურად დატული და ხელშეუხებელი“, – განაცხადა კალაძემ.

მისივე თქმით, ასევე ხელისუფლება დიდ ყურადღებას ანიჭებს ქარის სად- გურების პროექტის განხორციელებას და პირველი პროექტი 2016 წელს და- იწყება.

კახა დანელია

ადამიანი სხვის ადგილზე

მოვიდა, წაბო, წავიდა...



საბარტოველი საბარტოველი შურნალისტა ასოციაცია უთავაზოდა დარჩა - ან უკვე სსუა-ს ყოფილმა პრეზიდენტმა გიორგი გორგოძემ საგანგებოდ მოწვეულ გულმოდგინედ აღმასკომის სხდომას განცხადება აახლა განთავისუფლების შესახებ და კოლეგებმა მისი თხოვნა რამდენიმე წუთში დააკმაყოფილეს.

შეგახსენებთ, რომ შურნალ „ათიანის“ დამფუძნებელი ჩვენი შამპრის სათავეში ქვეყანაში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ აღმოჩნდა და მისი ასეთი აღზევება ბევრმა ლეგენდარულ დავით ყიფიანთან მეგობრობასა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მაშინდელი მინისტრის ლევან დავითის ძე ყიფიანის, რბილად რომ ვთქვათ, კეთილგანწყობას დაუკავშირა. მართლაც, გასათვალისწინებელი ვარაუდია, რადგან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ძღვევამოსილი მესაჭის, წარსულში ცირკის თანამშრომლის დომენტი სიჭინავასი არ იყოს, ისიც სულ სხვა პროფესიაში დაფრთხილებულა და, ერთ-ერთი ვერსიით, ვაჭრობის სისტემის რომელიღაც რგოლის წარმომადგენელი ყოფილა. გულ შემატკვივარს, ალბათ, კარგად ახსოვს ნაციონალთა ბაირამობისას ტელედებატებში რიხიანად ჩაბმული ახალბედა შურნალისტის პრეტენზიული სიტყვები - ქვეყნის ჩემპიონის ბედს გუბერნატორები წყვეტენ

და მისივე დამოკიდებულება მას შემდეგ, რაც ყურმილის მეორე ბოლოში ქვემო ქართლის ვარდოსანი ლიდერის დავით კირკიტაძის ხმა გაისმა. ეკ, სათქმელი კიდევ ბევრია, მაგრამ წასულ კაცზე, აბა, მეტი რაღა მოგახსენოთ გარდა გოცუბისა, როგორ მოახერხა ასე უცებ თავის სანინალმდეგოდ თითქმის მთელი მეოთხე ხელისუფლების ამხედრება და ღირსეული წინამორბედის, ამჟამად ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტის ელგუჯა ბერიშვილის მიერ ათწლეულების განმავლობაში რუდუნებით შედუღებული ქართული მასმედიისთვის ჩრდილის მიყენება. ვიმედოვნებთ სექტემბერში, ახალი პრეზიდენტი არჩევასა, ჩვენი ოჯახი ასეთ შეცდომას აღარ დაუშვებს. **გია კლატონიშვილი** **მინაწერი: სვანთა შორის, მოსახლენი აქამდეც უნდა მომხდარიყო, მაგრამ ჯერ ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩზე გამგზავრებამ, ხოლო შემდეგ ბაქოს პირველმა საბარტოველმა თამაშებმა გ.გ.-ს თანამდებობაზე ყოფნის გახანგრძლივების საბაბი მისცა. თუმცა, როგორც იტყვიან, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.** **ბ.პ.**

ჭიდაობა

რეპეტიცია ევროპისთვის

წლიულს 4-9 აგვისტოს სერბული სუბოტიცა ქაბუკ მოჭიდავეთა ევროპის პირველობას უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპი იყო გლდანში გამართული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მასპინძლებთან ერთად რუსეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ირანისა და ესტონეთის მოზარდი ფალანგებიც მონაწილეობდნენ. დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ პირველ ადგილებზე გავიდნენ: ფაილ ისკანდეროვი (აზერბაიჯანი, 42 კგ), გიორგი შოთაძე (46), ოთარ აბულაძე (50), ლერი აბულაძე (54), ჯონი ხეცურიაიანი (58), დავით ბაკურაძე (63), ვაჟა გოთუა (69), ბადრი ჯანელიძე (76), გიორგი შავაძე (ყველა-საქართველო, 85) და ამინ მირზაზადე (ირანი, 100).



გივი ბაგვა

ფეხბურთი

ოფისიალურად: თურანი „ბარსელონაში“ გადავიდა



მადრიდის „ატლეტიკოს“ ან უკვე ყოფილი ფეხბურთელი არდა თურანი კარიერას „ბარსელონაში“ განაგრძობს. აღნიშნული ტრანსფერი კატალონიური გრანდის ოფიციალურმა ვებგვერდმა დაადასტურა. „მლაუგრანას“ თურქი ნახევარმცველის დამატება 34 მილიონი ევრო დაუჯდა, რომელსაც ბონუსების სახით შესაძლოა კიდევ 7 მილიონი დაემატოს. არდა სამედიცინო შემოწმებას უახლოეს პერიოდში გაივლის და ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს. იმის გამო, რომ „ბარსელონას“ ახალი მთავარმწიგნობის დარეგისტრირება 2016 წლის ზამთრამდე აკრძალული აქვს, თურანი ახალ გუნდში თამაშს იანვრიდან შეძლებს. 28 წლის მთავარზე „ატლეტიკოს“ ღირსებას 2011 წლიდან იცავდა და ამ დროის განმავლობაში გამართულ 178 მატჩში 22 გოლის გატანა და 32 საგოლე გადაცემის შესრულება მოახერხა. მან „როხიბლანკოსთან“ ერთად ესპანეთის ჩემპიონატი, ესპანეთის თასი, ესპანეთის სუპერთასი, ევროპა ლიგა და ევროპის სუპერთასი მოიგო, ხოლო შარშან ჩემპიონთა ლიგის მოგებადღე 180 წამი დააკლდა. **გიორგი შოთაძე**

კალათბურთი

ბასოლი ევროპასკეტიზე არ ითავაზებს

მსპნური „მარკას“ ცნობით, იქაურ ნაკრებს ევროპასკეტიზე გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, „მემფის გრიზლიზის“ ცენტრი მარკ გასოლი ვერ დაეხმარება. წყაროს ცნობით, მარკი ნბა-ს მომავალ სეზონზე ორიენტირებული და ზაფხულის პერიოდი მოსამზადებლად სჭირდება. როგორც იცით, რამდენიმე დღის წინათ გასოლიმა „დათვებთან“ ახალ 5-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ნბა-ს განვლილ სეზონში მარკმა 81 მატჩი ჩაატარა, სადაც საშუალოდ ერთ შეხვედრაში 17.4 ქულას, 7.8 მოხსნას და 3.8 პასს აკეთებდა. კალათბურთში ევროპის ჩემპიონატი 5-20 სექტემბერს გაიმართება. ევროპასკეტიზე ესპანეთი ბ ჯგუფში მოხვდა. სკარიოლოს შეგირდები მასპინძელ გერმანიას, სერბეთს, თურქეთს, ისლანდიას და იტალიას გაეჯიბრებიან. **ვიტალი ჯაფარიძე**



ვიტალი ჯაფარიძე

ფარიკაობა

მასპინძელთა უპირატესობით



საბარტოველი დამსახურებული მწვრთნელის ზაურ თავაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირში, რომელსაც აჭარის დედაქალაქში უმასპინძლა, საქართველოს, რუსეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის (ქუთაისი), 3. ცოტნე ხომერიკი (ქუთაისი), დავით კვერნაძე (ქუთაისი). **გოგონები.** 1. მარიამ აფციაური (თბილისი), 2. თამარ ჩარკვიანი (ქუთაისი), 3. ანასტასია ჩიქოვა (თბილისი), გიუნელ მამედოვა (აზერბაიჯანი). **რაპირა** **ვაჟები.** 1. თემურ ყუყუნაშვილი (რუსთავი), 2. ხაჩატურ არუთუნიაიანი (სომხეთი), 3. თორნიკე ჩორგოლაშვილი (ქუთაისი), არმენ გოლოვანიანი (სომხეთი). **გოგონები.** 1. ანაიდა ალიოანი (სომხეთი), 2. ნანა ლეჟავა (თბილისი), 3. სონა ბარსანიანი (სომხეთი), მარიამ ტულუში (თბილისი). **დაშნა** **ვაჟები.** 1. ბარად კულიევი (ბაქო), 2. თორნიკე ჩხეტიანი (ქუთაისი), 3. არშატ აბრამიანი (სომხეთი), საბა მუშველიანი (ქუთაისი). **გოგონები.** 1. ნასტია ნაზაროვა (რუსეთი), 2. თინკო ნუცუბიძე (ქუთაისი), 3. ანი ჯანელიძე (ქუთაისი), 3. ანა მაჩიტაძე (ზესტაფონი). **ლაზა დიღია**

ინტერნეტიდან

ჯოანა კრიუკას პნეზანი

ახალგაზრდობა უკანმოტოვებული ცნობილი პოლონელი მოდელი ჯოანა კრუკა აქამდე ოფიციალურად გათხოვილი არასოდეს ყოფილა, რადგან თეთრი კაბის ფრიალისათვის უბრალოდ არ ეცალა და თავისი წარმატებული სამოდელო კარიერის შექმნა-შეკონსერვებით იყო დაკავებული. ახლა კი, როდესაც წარმატებულ სელში უჭირავს და არც ფული აკლია, ჯოანა კრუკამ თვალის ცოლიან კაცებს დაადგა. ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში იგი იძახის, რომ ნამეტანი ჩაუვარდა გულში საუკეთესო პოლონელი ფეხბურთელი რობერტ ლევანდოვსკი და უარს არ იტყობდა მასთან თუნდაც ერთხელ გახვანგალებაზე. ჯოანა კრუკა შურნალისტების კითხვაზე, თუ რას უპირებს იგი ლევანდოვსკის ცოლსა და ოჯახს, ირონიულად პასუხობს და ამბობს, რომ ადრე თუ გვიან ყველა ოჯახი ინგრევა და არასოდეს უნდა ვთქვათ არასოდეს. რობერტ ლევანდოვსკი ამ გამოხადობაზე კომენტარს, ცხადია, არ აკეთებს, მაგრამ უკომენტარობა უშველის ამ საკმეს?... **როსტომ რაჭველიშვილი**

ნიკოლაძეთა გორისა...

ცნობილი გამოგონებელი ბიორგი ნიკოლაძე სულ რაღაც 42 წლის იყო, როდესაც ამ ქვეყნიდან წავიდა. მიუხედავად ხანმოკლე სიცოცხლისა, მან ძალიან ბევრი რამ მოასწრო.

მეტალურგი, გეომეტრი, ტერმინოლოგი, გამოგონებელი, ტანმოვარჯიში, მთამსვლელი – ეს მისი ნამოღვაწარის არასრული ჩამონათვალია. გიორგი ნიკოლაძის მრავალმხრივი ნიჭი უპირობოდ იწვევდა თანამედროვეთა გაოცებასა და აღტაცებას.

ის 1888 წელს, დიდ ჯიხაშიში, გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის ოჯახში დაიბადა. დედა, ოლღა გურამიშვილი, უღარესად განსწავლული ქალი იყო: შვეიცარიის, ციურისისა და ჟენევის უნივერსიტეტებში სწავლობდა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კი, ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში ასწავლიდა და იშვილი პედაგოგიური ნიჭით იყო დაჯილდოებული. შემდგომში ოლღამ ეს ნიჭი სამი შვილის აღზრდას მოახმარა, რომელთა შორის გიორგი თავიდანვე გამოჩენილი იყო. პატარა გიორგის გეომეტრია და მათემატიკური საგნები უყვარდა და იშვილითი გონიერებით გამოირჩეოდა. გამოგონებლობისა და ცოდნის შეძენის დიდი სურვილი თავიდანვე დაჰყოლია. გიორგი ძალიან დაკვირვებული და დიდი ბავშვი იყო, ქართული ლიტერატურა უსაზღვროდ უყვარდა და „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად უსწავლია. პატარა გიორგი სასწავლებლად თბილისის პირველი გიმნაზიაში შეიყვანეს. სწორედ იქ გამოვლინდა მისი ინტერესი საბუნებისმეტყველო საგნების მიმართ, რამაც საბოლოოდ განსაზღვრა მისი ცხოვრების გზა.

რუსულთან ერთად გიორგი ნიკოლაძემ კარგად იცოდა ინგლისური, ფრანგული და გერმანული ენები. ეს უნივერსალური ადამიანი ფოტოგრაფიითაც ყოფილა გატაცებული. შემდგომში გიორგიმ დაამთავრა პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტი, მუშაობდა მეტალურგიულ ქარხნებში. ურთიერთობა ჰქონდა გამოჩენილ მეტალურგებთან და მონაწილეობდა დონეცის აუზის მეტალურგიული ქარხნების რეკონსტრუქციაში. 1918 წელს კი, საქართველოში დაბრუნდა. მისი ხელმძღვანელობით თბილისში აშენდა ფეროშენადნობის სადნობი საცდელი ლუმილი. აქ ჩატარებული ცდების შედეგები საფუძვლად დაედო ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხნის მუშაობას.

გიორგი ნიკოლაძემ ასევე დიდი წვლილი შეიტანა საქართველოში სპორტის პოპულარიზაციის საქმეში. 1908 წელს წარმატებით გამოვიდა ტანმოვარჯიშეთა შეხვედრაზე ბულგარეთში. 1912 წელს პეტერბურგის გუნდ „სოკოლის“ შემადგენლობაში იყო და მონაწილეობა მიიღო მეექვსე მსოფლიო შეკრებაზე პრაღაში. 1913 წელს დაამარცხა სატანვარჯიშო საზოგადოება დონბასში, ხოლო 1918 წელს, პირველი სატანვარჯიშო საზოგადოება „შეგარდენი“, თბილისში.



ევროპაში ყოფნის დროს გიორგიმ ცოლად მასზე მეტად უმცროსი ჟორჟეტა ლამბაშიძე შეირთო, გიორგი ნიკოლაძე მაშინ 40 წელს მიტანებული ყოფილა. თანამედროვეთა მოგონებებიდან კარგად ჩანს, რომ ჟორჟეტა გიორგის ერთადერთი და უკანასკნელი სიყვარული იყო – ორივეს განსაკუთრებულად ჰყვარებია ერთმანეთი. ჯვარი პარიზში დაუწერიათ და საქონილი მოგზაურობაში ველოსიპედებით წასულან. ერთად მხოლოდ რამდენიმე წელი იცხოვრეს, რადგან გიორგი მალე გარდაიცვალა. სამწუხაროდ, გიორგი ნიკოლაძეს შთამომავლობა არ დაუტოვებია.

1931 წლის 23 იანვარს გიორგი ნიკოლაძე ლოგინად ჩავარდა, მას ხელტეხვის ორმხრივი კრუპოზული ანთება განუვითარდა, ორგანიზმი ინფექციას ვერ მოერიდა და 5 თებერვალს გარდაიცვალა. დაკრძალულია დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. გიორგი ნიკოლაძის გარდაცვალების შემდეგ მისი ახალგაზრდა მეუღლე პარიზში, მშობლებთან დაბრუნებულა და ინგლისელ ლორდზე გათხოვილა. სხვათა შორის, ჟორჟეტას მამა პირველი ქართველი ბავშვთა ექიმი და ცემის ბავშვთა სახლის დამაარსებელი, ვახტანგ ლამბაშიძე იყო.

გიორგი ნიკოლაძე ავტორია ორიგინალური კონსტრუქციის გამოთვლელი მანქანის პროექტისა, რამაც თავის დროზე დიდი მოხონება დაიმსახურა. ყველაფერი ასე მოხდა: პარიზში ყოფნის დროს, მან გამოთვლილ მანქანების საერთაშორისო გამოფენა დაათვალიერა. ყველა მათგანი მექანიკური იყო და მხოლოდ ორ მოქმედებას ასრულებდა. გიორგის სწორედ ამ გამოფენის დათვალიერების შემდეგ გაუშვლანებია თავისი გამოგონება: მან მსოფლიოში პირველმა გამოიგონა ელექტროგამოთვლელი მანქანა, რომელიც მარტივ პრინციპზე იყო აგებული და ოთხივე მათემატიკურ მოქმედებას – შეკრებასა და გამოკლებას, გამრავლებასა და გაყოფას ასრულებდა. გიორგი ნიკოლაძემ მრავალი ფირმისა და კომპანიისაგან მიიღო მინვესტიცია, მაგრამ ყველას უარი უთხრა, რადგან სურდა, მანქანა საქართველოში აგებულიყო. 1929 წელს ის საქართველოში დაბრუნდა, მანქანის ასაგებად ცალკეული ტექნიკური დეტალების ჩამოყალიბება უნდოდა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო მანქანის აგება ვერ მოახერხა. დღემდე მითითებული ნაშრომი და ნახაზები დაკარგულად არის მიჩნეული. ნიკოლაძის მიერ შექმნილი გამოთვლელი მანქანა, თავისი მოქმედების პრინციპებით, თანამედროვე გამოთვლელი მოწყობილობების წინამორბედა. პირველი მოდელი, რომელიც გიორგი ნიკოლაძემ დაამზადა, მოსკოვის ერთ-ერთ უნივერსიტეტში 1936 წლამდე იყო გამოფენილი. შემდეგ კი, დაიკარგა და, სამწუხაროდ, მხოლოდ მისი თეორიული აღწერილობა შემოგვრჩა. ასე რომ, გიორგი ნიკოლაძემ ამ დიდის ხორცშესხმა თავის სიცოცხლეში ვერ მოასწრო.

პირველი ელექტროგამოთვლელი მანქანის ქართველი გამოგონებელი


1923 წლის 28 აგვისტოს მოაწყო ალბინისტური ასვლა მყინვარწვერზე, რამაც დასაბამი მისცა საბჭოთა ალბინიზმს. მონაწილეობდა ტექნიკური და სპორტული ტერმინოლოგიის შედგენაში. მისი ხელმძღვანელობით გამოიცა პირველი ქართული სახელმძღვანელო ტანვარჯიშში.

მეტისმეტად გატაცებული იყო ჭადრაკით. თანამედროვეები ისვენებენ, როგორ ეთამაშებოდნენ გიორგი ერთდროულად ათ კაცს ჭადრაკის დაფაზე დაუხედავად. 1918 წელს, გიორგი ნიკოლაძეს ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროში დაუწყია მუშაობა, თუმცა, ეს თანამდებობა მალე დაუტოვეს და სამეცნიერო-მედიკოლოგიურ საქმიანობას შედგომია. მეცნიერი ახლად გახსნილ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საბუნებისმეტყველო-მათემატიკურ ფაკულტეტს ხელმძღვანელობდა. 1920 წელს დოცენტის წოდება მიიღო, 1926 წელს კი მისი ავტორობით, ქართულ ენაზე „მხაზველობითი გეომეტრიის კურსი“ გამოიცა.

1926-1928 წლებში, დისერტაციის დასაცავად, ორი წლით საზღვარგარეთ წავიდა. უკან დაბრუნების შემდეგ, გიორგი ნიკოლაძემ ზესტაფონის ფეროშენადნობა ქარხნის მშენებლობა დაიწყო. ვიდრე ეს ქარხანა აშენდებოდა, გიორგიმ „ენგურჰესის“ დაპროექტებაც მოასწრო, მაგრამ მაშინდელმა ხელისუფლებამ დაფინანსება არ მისცა. ზესტაფონში ფეროშენადნობის ქარხნის აშენებამდე, გიორგი ნიკოლაძეს დიდუბეში კიდევ ორი საცდელი ქარხანა აუგია. სამწუხაროდ, მის მიერ აშენებული ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანა მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ ამოქმედდა.

სათუნა ჩიგოგია

მეუღლე ჟანა ბრელიძე, შვილები ია, კახა სალიები, სიძე ზურა ჩიკვაძე, შვილიშვილი საბა ჩიკვაძე, რძლები ქეთო ჩხარტიშვილი, დოდო სალია, დისწული აზა მურვანიძე, ძმისწულები შაქრო, ჟორა, სოსო, მანანა, ნანა, სოფიკო, ცოლისძმა თემურ ბრელიძე, რძალი ნონა ბაქრაძე ოჯახებით მწუხარებით იუნყებიან



იური სალიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 8 VII, 18 სთ. დაკრძალვა 9 VII, 15 სთ. მისამართი ბაგები, პირველი კორპუსი, მე-2 სადარბაზო, მე-9 სართული.

რუსუდან, ნესტორ ჩხლაძეები ოჯახებით, მარინა კანდელიაკი უდიდესი გულსტიკილით იუნყებიან უახლოესი ადამიანის, სანათესაოში გამორჩეული პიროვნების, ოჯახზე და ახლობლებზე უზომოდ შეყვარებული კაცის

იური სალიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია იუნყება, რომ გარდაიცვალა უიშვითესი პიროვნება, ღირსეული მამულიშვილი

იური სალია

და თანაუგრძობს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.



მეუღლე გალინა შარაბიძე, შვილები ვოვა, ნათია, და ლია, ძმა რუდოლფი, ბიძაშვილები ნათელა, ნიკო შარაბიძეები, ახლო ნათესავები იუნყებიან, რომ გარდაიცვალა

რუზა შარაბიძე

პანაშვიდი 8 VII, 17 სთ. გამოსვენება 9 VII, 14 სთ. მისამართი: ირ. აბაშიძის №51, სადარბაზო 1.

ლუიზა, როინ მეტრეველები მწუხარებას გამოთქვამენ მეგობრის

ანსორ ასათიანის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძობენ განსვენებულის მეუღლეს, შვილებსა და შვილიშვილებს.

შვილი ირინე ხომერიკი, შვილიშვილები ნინო, ანა ლორთქიფანიძეები, შვილთაშვილი ანასტასია გურგენიძე, სიძეები ვაჟა ლორთქიფანიძე, ლევან გურგენიძე, მძახლები დოდო ჩხლაძე, დათო გურგენიძე, გოგი ლორთქიფანიძე, ნანი თოდუა ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუნყებიან, რომ გარდაიცვალა

ლიანა ჩხენკელი-ხომერიკი

პანაშვიდი 9, 10 VII, 17 სთ. მისამართი: ლარსის ქ. №5. გამოსვენება 11 VII, 14 სთ. „ლურჯი მონასტრიდან“, ქიანგელის ქ. №30 (ვერის ბაღი).

საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, აკად. კ. ჩაჩავას მრავალწლიანი კლინიკა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუნყებიან, რომ კლინიკის ექიმ ანესთეზიოლოგ ნინო სესიტაშვილს გარდაეცვალა მამა

ბაჟან ვასილის ძე სესიტაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ინფორმაცია

მთავრობა წახალისებს გეგმავს

პირი, რომელიც ტრეფიკინგის მსხვერპლის მომსახურებით ისარგებლებს, შესაძლოა, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდეს. ეს იმ შემთხვევაში თუკი, ამის თაობაზე ის ინფორმაციას გამოიძიებს მიაწვდის.

ცვლილებები „სისხლის სამართლის კოდექსში“ შედის. კერძოდ, ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით ისარგებლობა სისხლის სამართლის დანაშაულია, რომელიც პატიმრობით ისჯება. კოდექსის შესაბამისს – 143/3-ე მუხლს ემატება შენიშვნა, რომლის მიხედვით, პირი, რომელიც აღნიშნული ქმედება ჩაიდინა, თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ მან ამის თაობაზე გამოიძიების დაწყებამდე წერილობით ან კომუნიკაციის ნებისმიერი ტექნიკური საშუალებით ნებაყოფლობით მიაწოდა ინფორ-

მაცია სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელ ორგანოს, ხელი შეუწყო გამოძიების წარმართვას და მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები. პროექტის ავტორი იუსტიციის სამინისტროა. თავის მხრივ კანონპროექტის მომზადება სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის საპროექტო გეგმის ფარგლებში, ევროკომისიის რეკომენდაციით არის განპირობებული. პროექტი გუშინ პარლამენტის ადამიანის უფლება დაცვის კომიტეტში განიხილეს.

ყაჩაღობის ფაქტი ოპერატიულად გაიხსნა

შსს-ს დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველო მეოთხე განყოფილების თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად ყაჩაღობის ფაქტი გახსნეს. შსს-ს ინფორმაციით, ყაჩაღობის ბრალდებით თბილისში

დააკავეს 1994 წელს დაბადებული დავით კ. და 1987 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევ ბაჩუკი თ.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები 6 ივლისს თბილისში, თევდორე მღვდლის ქუჩაზე, ერთ-ერთ მალაზიაში შეიჭრნენ, გამყიდველს ძალადობის მუქარით საფულე, მობილური ტელეფონი, საქონელი გასტაცეს და შეემთხვეს ადგილიდან მიიძალნენ.

სამართალდამცველებმა ბრალდებულები ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მომხდარიდან რამდენიმე საათში სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს. ორივე დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.



ტესტი

ხელწერა და ხასიათი

ბრიტანელი გრაფოლოგების მტკიცებით, ხელწერა და ხასიათი ერთმანეთთან განუყოფელი არიან. ცხრა თვის მანძილზე მათ მოსახლეობის ყველა ფენისა და ჯგუფის რვა ათასი კაცის ტესტირება ჩაატარეს...

ახლა ძულაბი დააჯავი, სი-ზუსტისთვის ტესტირება დღე-ღამის განმავლობაში რამდენჯერმე გაიმეორეთ. შედეგად ყველა მიღებული შედეგი დააჯავი ტესტირებაში რიცხვით გააჩაპით.

ბენი არიან, თუმცა, მათი ნატურები იშვიათად სრულდება. ამ ჯგუფში მოხვდნენ მანანალეები, ახალდაწყებული ნარკომანები, აგრეთვე სექსუალურ უმცირესობათა 32 პროცენტი.

პირველი პუნქტი

ასოების ზომა არა უმეტეს 2-3 მილიმეტრისა (3 ქულა); 4-5 მილიმეტრი (7 ქულა); 6-7 მილიმეტრი (17 ქულა); 7 მილიმეტრზე მეტი (20 ქულა).

პუნქტი 2

ასოების დახრა ძლიერ მარცხნივ (2 ქულა); სუსტი მარცხნივ (5 ქულა); დაუხრელად (10 ქულა); სუსტი მარჯვნივ (6 ქულა); ძლიერ მარჯვნივ (14 ქულა);

პუნქტი 3

ასოების მოხაზულობა მომრგვალებული (19 ქულა); ძნელი გასარჩევია (10 ქულა); კუთხოვანი (19 ქულა).

პუნქტი 4

სტრიქონის განლაგება ქაღალდის ზედა კიდის მიმართ განლაგებულია ზედა კიდის პარალელურად (12 ქულა). ზევითაა აზიდული (16 ქულა). ქვევითაა ჩანული (1 ქულა).

პუნქტი 5

ფანქარზე დაწოლის ძალა მსუბუქი (18 ქულა); საშუალო (15 ქულა); ძლიერი (21 ქულა).

პუნქტი 6

ასოების დაწერის ხასიათი ასოები გადაბმულადაა დაწერილი (11 ქულა); ასოები განცალკევებულია დაწერილი (18 ქულა).

პუნქტი 7

ასოების დაწერის საერთო შეფასება ყველა სიტყვა ადვილად იკითხება, ხელწერა მკაფიოა (13 ქულა); ხელი გაკრულია (4 ქულა).



ბი, როგორც წესი, ცხოვრებას მოწყვეტილი არიან, რთული ვითარების გამკლავების უნარი არა აქვთ, საკუთარ თავში იკეტებიან და თავისი ინტერესებით ცხოვრობენ. ისინი წარუმატებლობებს მტკიცებულად აღიქვამენ, მათ ალკოჰოლი ზედმეტად იზიდავს, მიდრეკილი არიან ნარკომანიისკენ.

52-დან 63 ქულამდე: ამ ჯგუფის ადამიანები, როგორც წესი, დიდი ნებისყოფით არ გამოირჩევიან, კრიტიკულ ვითარებაში აღმოჩენილი ხშირად იბნევიან, ზომაზე მეტად მორიდებული არიან. ბევრ საკითხში პასიურობას იჩენენ. საკუთარი თავის პრობლემაზე აღქმა ჯერაც ვერ მოუხსნიათ. ისინი მეოცნე-

64-დან 75 ქულამდე: ეს ადამიანები მოკრძალებულნი არიან, რბილი ხასიათით გამოირჩევიან, პატივს სცემენ გარშემო მყოფთა აზრს. ბუნებრივი მიმდობლობის წყალობით, გაქნილი ადამიანები მათ ადვილად ატყუებენ. ასეთი ხალხი ადვილად ყველა სხვის შეგონებას, დაქვეითებულ თვითშეფასებას ისინი ხშირად იქამდე მიჰყავს, რომ ცდილობენ სხვის ინტერესებზე საკუთარის მორგებას, ივინყებენ საკუთარ „მეს“, მართალია, კრიტიკულ სიტუაციებში ისინი ბრძოლის წინაშე ხშირად უკან იხევენ. ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან ყვავილებისა და მტრედების მოყვარულები, წერილმანებით გარემოვარდები.

76-დან 86 ქულამდე: ასეთი ხელწერა გულწრფელი, გულლია, პირში მთქმელი ადამიანებისთვისაა დამახასიათებელი. ყოველთვის იცავენ საკუთარ აზრს, თუმცა კი, სხვათა მოსაზრებებსაც შემწყნარებლად ღებულობენ. დალატს ისინი ადამიანის ყველა ცუდ თვისებად მიიჩნევენ და არასდროს პატიობენ მას. სამაგიეროდ, მეგობრების მუდამ ერთგულნი არიან, მათთვის ყველაფერს გააკეთებენ. ასეთი ხელწერა აღმოაჩნდათ სამართალდამცავი ორგანოებისა და სა-

დაზღვევო კომპანიების მუშაკებს და, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, კინომსახიობებს. 88-დან 98 ქულამდე: ესაა ადამიანთა ყველაზე მეტად გავრცელებული კატეგორია. ისინი პატიოსნები არიან, განწონასწორებული ხასიათი და ძლიერი ნებისყოფა აქვთ, ტყუილი არ შეუძლიათ. კრიტიკულ სიტუაციებში გულადები, გამარჯვებაზე შემართულები არიან. მათ მუდამ აუარება გეგმა აქვთ, თუმცა, ბევრს განახორციელება არ უნერია. საზოგადოება და ყველაფერს იუმორით უდგებიან. ესენი მკვიდრად შეკრულ ოჯახებში, ჯანსაღ ატმოსფეროში გაზრდილი ადამიანები არიან.

99-დან 109 ქულამდე: ამ ჯგუფის ადამიანები დამოუკიდებლობით გამოირჩევიან როგორც საკუთარი აზრის გამოთქმაში, ასევე საქციელებში. მათ სხარტი გონება და კარგი მეხსიერება ახასიათებთ. ზოგ ვითარებაში შეიძლება, აურიონ კიდეც. ეთაყვანებიან ყოველივე მშვენიერს, ხშირად თავადაც შემოქმედნი არიან. ასეთი ხელისწერა ხშირად აქვთ ჟურნალისტებს, მუსიკოსებს, ხელმძღვანელ მუშაკებს, მენეჯერებს.

110-დან 121 ქულამდე: ასეთი ხალხი ძალაუფლების მოყვარულია, სხვათაგან საკუთარი სურვილებისა და ახირებებისადმი მორჩილებას ითხოვენ. საკუთარი პერსონის მიმართ ნებისმიერ კრიტიკას საკუთრების უფლების ხელყოფად აღიქვამენ და ამას არავის არასდროს არ პატიობენ. პრობლემები აქვთ დისციპლინის მხრივ, გარშემო მყოფებს ხშირად აგრძობინებენ, რომ მათთან ურთიერთობა ამ ხალხისთვის დიდი პატივია. ამ ჯგუფში მოხვდნენ ღამის ბარების მცველები და რესტორნების შვეიცარები.

ყურადღება! იყიდება დიდ დილოში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მინის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.

რეკლამა 293-37-87; 588 82-09-84. მაჩაბლის ქ. №7.

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლების წყაროებიდან სამოციოდ მეტრში მდებარე 2430 კვ. მეტრი მინის ნაკვეთი, სადაც, სურვილისამებრ, ერთდროულად შეიძლება როგორც სანატორიუმის, ისე სამკურნალო-სააბაზანოს, ფიტნესკლუბის, კინოთეატრისა თუ სხვა ნაგებობათა აშენება. ყველა კომუნიკაცია არის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 5 99 98 56 33; 599 37 00 35.

ცინცხალი ანეკდოტი

თუ ქალიშვილი პაემანზე დანიშნულ დროზე მივიდა, მაშასადამე, მას იმ საღამოს კიდევ ერთი პაემანი აქვს დანიშნული. მათთვის, ვისაც უძილობა სჭირს: თუ დასაძინებლად ცხვრის ან სპილოების დათვლას დაიწყებთ, უმჯობესია, ისინი წყვილად ითვალათ - მაშინ ორჯერ უფრო სწრაფად დაგეძინებათ. თუ მეუღლესთან კამათის დროს კაცი მართლაც და ფაქტებით აპელირებს და მხოლოდ საღ გონებას იხმობს, მას თავისი აზრის გატანის არანაირი შანსი არა აქვს. პატარა მისომ ქუჩაში ჩანთით მილიონი დოლარი იპოვა და საპატრულო პოლიციას ჩააბარა. სასწრაფო დახმარების მანქანით საავადმყოფოში გულის ინფარქტით მიყვანილმა მამამისმა შაქრომ ჟურნალისტებისთვის მიცემულ ინტერვიუში თვალცრემლიანმა განაცხადა, რომ ამაცობს ვაჟიშვილით.

როცა რაღაც გაინტერესებს, დრო უცბად გადის! როცა რაღაც არ გაინტერესებს, მაშინაც ასეა! ძალი ნესვივითაა: სანამ გემოს არ გაუსინჯავ, დანამდვილებით არაფრის თქმა არ შეიძლება. ბიჭიკმა ზურისთან შედის სახლში, ხედავს, იმას მთელი ავეჯი სხვანაირად უდგას. რაია, ბიჭო, ზურია, ფენშუის მიხედვით დადგი? ფენშუით კი არა, სიმთვრალით! ემიმთან: აბა რა გითხრათ, გენაცვალე, დიაგნოზის დასმა მიჭირს! მაინც მგონია, რომ ეს ალკოჰოლიზმია.. კარგი, ექიმო, ხვალ გამოვივლი, როცა გამოფხიზლდებით!. სუსტ ალკოჰოლურ სასმელებს სუსტი ლოთებისთვის ამზადებენ!

კადრი



ავტორთა საყურადღებო! რედაქციის მიერ შეუქვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები. საქართველოს რესპუბლიკის გამომცემელი "საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" ტ: 599 79-76-79) შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20) uac(უაქ)070.4(479.22) ს-323 ISSN 2233-3853 მთავარი რედაქტორი ალიკო ასლანიშვილი 293-37-87; 599 56-81-86 პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიზაშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსიანი 599 17-21-21; სპარტაკ მოჰუბია 599 36-00-35 პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაბაძე 514 33-33-24 ინფორმაცია 66434